# საქართველო

წლიწადი მეხუთე | შაბათი, 7 ღვინობისთვე 1919 წ. № 216 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში), 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა—3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73



თავ-ზარ დაცემულნი ვასილი ბოდანის ძე, ნინო პეტრეს ასული, ალექსანდრე, შალვა და ანდრია ვასილის ძენი მალაშხიები, სწირავენ ღრმეს მადლობას ბ-ნ კომანდირს, ოფიცრებს, მოტორისტებს, შოფერებს, ჯარისკაცებს და საავიაციო გუნდის ყველა მოსამსახურეთ, რომელთაც გამოგვიცხადეს თანაგრძნობა ღრმა მწუხარებაში მყოფთ ტრაგიკულ სიკვდილის გამო პირველთა საყვარელ შვილის და უკანასკნელთა ძმის სამხედრო მფრინავის კაპიტან

გიორგი (გერტი) ვასილის ძე მალაშხია

2592 1—1

მწუხარებით გულ-მოკლულნი ვასილი ბოგდანის ძე, ნინო პეტრეს ასული, ალექსანდრე, შალვა და ანდრია ვასილის ძენი მალაშხიები ღრმეს მადლობას სწირავენ მეგობრებსა და ნაცნობებს, რომელთა პატივი სცეს ხსოვნას, უდროოთ დაღუპულ, საყვარელ შვილის პირველთა, უკანასკნელთა ძმის სამხედრო მფრინავის კაპიტან

გიორგი (გერტი) ვასილის ძე მალაშხია

2592 1—1

## სახელმწიფო თეატრი.

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით

შაბათს, ოქტომბრის 7-ს, შულგინას, ხორინას, სარაჯიშვილის, პოლიაევის და ისეცკის მონაწილეობით

## დ ე მ ო ნ ი

ოთხშაბათს, ოქტომბრის 8-ს, აბონემენტის გარეშე შულგინას, ვიშემირსკის, ხორინის, სარაჯიშვილის და ინაშვილის მონაწილეობით — **„აბესალომ და ეთერი“**. ხუთშაბათს, ოქტომბრის 9-ს, — **„მეფის საძლო“**. პარასკევს, ოქტომბრის 10 ს, — **„მარგალიტის მაძიებელნი“**.

**დასაწყისი საღ. 7 საათზე. — კასსა ღია 11—2, და საღ. 6—8.**

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა **ს. ევლახოვის** ხელმძღვანელობით ოთხშაბათს, 8 ღვინობისთვეს

## აბესალომ და ეთერი

## ქართული ლატარია.

ადამიანისთვის გონებრივი და სულიერი საზრდო საჭიროა როგორც ჰაერი.

——

გონებრივ და სულიერ საზრდოს კი მოგვცემს ქართული უნივერსიტეტი და თეატრი.

——

მიიღეთ მონაწილეობა ამ დიდ საქმის აღმშენლობაში. იყიდეთ ლატარიის ბილეთები.

201 1—1


## ვინც იცის რამე ოდესაში

დენიკინელთა მიერ დაჭერილ ოფიცერ ევს. ჩიქვანაიაზე გთხოვთ გვ/ზ. „საქართველოს“ საშუალებით გვაუწყოთ.

**პატივისცემით თომა ჩიქვანაია**

2 2593—1

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**დასავლეთ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდათა საყურადღებოთ**

თანახმათ ეროვნ.-დემოკრ. პარტიის სტუდენტთა და მოწაფეთა ორგანიზაციების დადგენილებისა, ახლო მომავალში, ქ. ქუთაისში გაიხსნება ახალგაზრდათა მეორე შეერთებული თავისუფალი

## ყ რ ი ლ ო ბ ა

ყრილობაზე დასწრება მანდატებით შეიძლება, რომელსაც მიიღებთ ქუთაისლები „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში, და პროვინციელები—პროვინციაში.

(დრო და ადგილი შემდეგ იქნება გამოცხადებული).

დასავლეთ საქ. სტუდ. ორგან. თავმჯდ: **ბიკ. აბესაძე.**

ქუთაისის მოწაფეთა ორგ. თავმჯდომარე **აკაკი ცქიტიშვილი.** (5—2)

## ნ. ი. პაატაშვილის
## ქალთა 5 კლასიანი პროფესიულ სკოლაში.

ნ. ი. პაატაშვილისა აცხადებს სწავლა დაიწყო 22 სექტემბერს. მოწაფეების მიღება გრძელდება. მიღება შეიძლება—9—2 საათამდის.

სწავლა ხელსაქმისა და ჭრა-კერვისა ჩვეულებრივია. საგნების სწავლა დაახლოვებით 4 კლასამდე ქართულ და რუსულ ენაზედ.

ამასთანავე გახსნილია კურსი ფეხსაცმელების კერვის.

ამავე სასწავლებელში მიიღება ყოველგვარი დაკვეთილი საქმეები კაბები, კოსტუმები, თეთრეული და ყოველგვარი ნაქარგი ხელ საქმეები „მარეშკა“ მანქანაზედ ხელ მის წვდენ ფასებში.

მისამართი: ჩერქეზიშვილის და ნიკოლაიზის კუთხე № 2—11.

(2—2590 2).

## კოჯორის
## ქალაქის თვითმართველობა

ამით აუწყებს ქ. კოჯრის მოქალაქეთ, იმ განცხადების დამატებად რომელიც გამოიცა ქ. კოჯორში შესახებ ქალაქის გამგეობის ოქტომბრის 5 არჩევნებისა —ახალ ვადით—საარჩევნო სიების გამოქვეყნებით, რომ ყველა განურჩევლად სქესის, 20 წლის მოქალაქე მობრძანდეს დანიშნულ დროს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად.

2584 3—2

## მთის ტრაგედია

უკანასკნელ დროს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მთავრობების და მოქალაქეთა ყურადღება მიქცეულია მთისკენ.

ამიერ-კავკასიაში ამ ხანათ დამყარდა შედარებით მშვიდობიანობა.

დენიკინი რომელიც ამიერ-კავკასიაზე წინსვლით აშინებდა ამ რამდენიმე თვის წინ საქართველოს, დღეს დღეობით უკვე აღარ წარმოადგენს უშუალო საფრთხეს და სოჭის ფრონტი მართალია მდუმარეა, მაგრამ ამ გარეგან მშვიდობიანობაში მაინც იხატება საფრთხე:

დენიკინის ლაშქარი რუსეთის სამოქალაქო ომის ფრონტზე თანდათან წინ მიიწევს დღეს მთელი უკრაინა მის ხელშია და ვორონეჟის და კურსკის იქით გადის სამხედრო ფრონტის ხაზი.

დენიკინის წინ წაწევით ისარგებლა მთიელთა რესპუბლიკამ და მოაწყო აჯანყება დენიკინის ზურგში.

ვინც იცის, თუ როგორ ეპყრობა დენიკინის ურდო დაპყრობილ ქვეყნებს და როგორ ანადგურებს ყველაფერს თავის შურისძიებაში ის მიხვდება, რომ მთის აჯანყება დენიკინის წინააღმდეგ გამოწვეულია თავის-თავის გადარჩენის უკანასკნელი იმედით; აქ თუ არის შთაგონება ბრძოლის და მისი გაფართოება ეს სასოწარკვეთილების ნაყოფია.

ვერც ერთი ერი ვერ მოითმენს დენიკინის რეჟიმს მით უმეტეს, ამას ვერ შეურიგდება თავისუფლების მოყვარული მთა და ამიტომაც აფრიალა მან აჯანყების დროშა. იმ ცნობებით, რომელიც ჩვენამდე აღწევს, აჯანყებულებს კიდეც რგებიათ პირველი გამარჯვება, მაგრამ მთიელებს ძალიან ძვირად უჯდებათ იგი.

თუ კიდევ რამე გადარჩა დენიკინელების დარბევას დღეს ძირიან ფესვიანად ისპობა—სოფლები, აულები, ქალაქები მიწას უსწორდებიან და გენერალი ერდელი, რომელიც ხელმძღვანელობს ამ ოპერაციებს მოხალისეთა მხრივ, სთხოვს დენიკინს კიდევ ახალ ძალებს—რომ დაიმორჩილოს აჯანყებული მთა.

როგორი საშინელიც არ უნდა იყოს სამოქალაქო ომი—ასეთ ომზე მაინც საშინელი არ იქნება.

ჩვენი რესპუბლიკა ვერ დარჩება გულგრილად მაყურებელი ამ ამბების და ჩვენ აშკარათ უნდა ვსთქვათ, რომ დენიკინის ძალადობა მთიელ რესპუბლიკაზე ჩვენთვისაც წარმოადგენს უდიდესს საფრთხეს.

თუ მთა გაწყდა წელში მაშინ დიდ გება საქართველოს სამედიცინო რიგიც—ესეც არ იყოს, გარდა თვით—დაცვის ინსტინქტისა ჩვენში უნდა ალაპარაკდეს უმაღლესი ადამიანური, ჰუმანიური გრძნობა—რომ არ შეიძლება ერის მოსპობა, ისე როგორც ეს დენიკინს განუზრახავს.

ამგვარი ბარბაროსული აქტი ეწინააღმდეგება როგორც ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, რომლის ნიშნის ქვეშ დღეს მიდის ვერსალის კონფერენცია, აგრეთვე ბუნებრივ უფლებას და ადამიანობას ამიტომ ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ენერგიულ ნოტას ანტანტის წარმომადგენლებისადმი, რომ საქართველო აცხადებს სასტიკ პროტესტს დენიკინის უკანონო და ბარბაროსულ მოქმედების წინააღმდეგ.

ანტანტის წარმომადგენლებმა და მთელმა ქვეყანამ უნდა იცოდეს, რომ კეთილშობილი ქართველი ერი ვერასდროს ვერ შეურიგდება, რომ მის მეზობელ ერს ასე ბარბაროსულად ექცეოდნენ და ამით აძლიერებდნენ ანარქიას, რომელიც უმზადებს საფრთხეს ჩვენ რესპუბლიკასაც.

თავისუფალი მთა სისხლით იწურება და მის გოლგოთას ტანჯვას ჩვენ ერთნაირათ ვგრძნობთ და სიხარულით ველით მის გამარჯვებას, და მოვითხოვთ ეს სისხლის ღვრა, რომ მალე იქმნას შეწყვეტილი.

## რაბინ ბააზოვის დეპეშის გამო

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაიბეჭდა ჩვენში თვისი მლიქვნელობითა და ორ-პირობით კარგად ცნობილ რაბინ დავით ბააზოვის დეპეშა, რომ ონში მას გაუხსნია ებრაული თალმუდთორა. ეს ფაქტი მას იმდენად მნიშვნელოვანად მიაჩნია, რომ აუწყებს საქართველოს უზენაეს წარმომადგენლებს და რედაქციებს.

არსებითად კი რაშია საქმე? ასეთი თალმუდთორები თითქმის ყველა იმ დაბა-ქალაქებში იმყოფება, სადაც კი სცხოვრობენ ქართველი ისრაელები და ამ თალმუდთორების მოღვაწეობა არ სცილდება წმინდა სარწმუნოებრივ ფარგლებს. იქ ასწავლიან თორას, ისრაელთა რჯულის კანონებს და ლოცვებს.

რაბინ ბააზოვს კი საჭიროდ დაუნახავს! ამის შესახებ ერთი კორიანტელის აეხენა, ხოლო სხვა დაბებიდან და ქალაქებიდან ამ კითხვას სთვლიან შინაურ სარწმუნოებრივ საქმედ და ფიქრობენ, რომ არც მთავრობის თავმჯდომარეს, არც შინაგან საქმეთა მინისტრს და არც რედაქციებს ასეთი ფაქტი არ აძლევს საჭიროს მიიჩნიონ იგი დიდ პოლიტიკურ აქტად.

რაბინ კლერიკალი კი, სჩანს, ამ ფაქტს აძლევს დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას და დეპეშის დასასრულს სწერს, რომ ქართველი დემოკრატიის უმაღლეს იდეალების განხორციელებით ქართველ ისრაელებსაც მიენიჭებათ **„სრული ეროვნულ კულტურული ავტონომია.**

ვისი სახელით მოითხოვთ თქვენ ამას. ან რომელ საქართველოს ებრაელებზე ზრუნავთ თქვენ ბ. ბააზოვო და რომელ მთავრობის თავმჯდომარესა სთვლით თქვენს „სამამაო უფროსად“?

ან რომელია თქვენი სამშობლო: საქართველო თუ პალესტინა? თუ ქართველ ისრაელებს ჰგულისხმით, მან თქვენ კუდ-ამოძუებული გაგიშვათ და ყველგან და ყოველთვის მტრად მიაჩნიხართ, მაშასადამე ქართველ ისრაელთა დემოკრატიამ, მისმა აბსოლუტურმა შემადგენლობამ თქვენც უარგყოთ, თქვენი ავიცა და თქვენი კარგიც, თქვენი იეზუიტური პოლიტიკაცა და ურწმუნო ისრაელობაც.

ხოლო თუ იცით, რომ დღეს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე არის ბ-ნი ნოე ჟორდანია, უნდა მოგაგონოთ, რომ განა თქვენ არ ბრძანდებოდით ის პიროვნება, რომელმაც ბაქოში მოხსენება წაიკითხეთ სიონისტთა კონფერენციაზე და ბ-ნი ნ. ჟორდანია, ევგ. გეგეჭკორი და სხვა მეთაურნი ჩვენი სახელმწიფოსი ქართველ ისრაელთა შემმუსრავად დაუსახეთ უცხოელებს და დააბეზღეთ?

ამას ხომ მაინც ვერ დაფარავთ, თუნდაც იმიტომ, რომ თქვენი მოხსენების ანგარიში დაბეჭდილია **„Кавказ. Еврейс. Вѣстник“**-ში? სადა გაქვთ სინდისი, სირცხვილი და ნამუსი. ან რად არცხვენთ მთელი ონის ქართველ ისრაელებს, რომელთაც თქვენ ათას-გვარ პროვოკაციით იგდებთ ბრჭყალებში, როგორც სხვაგან მცხოვრებ ქართველ ისრაელთა და მათ გულ-წრფელ მომხრეთა შესახებ, აგრეთვე ჩვენი მთავრობის მოქმედების შესახებ.

ჩვენ ვურჩევთ ონის ისრაელებს ისევე, გააძევონ თვისი წიაღიდან ეს შხამითა და გესლით აღსავსე გველი—რაბინი ბააზოვი, როგორც გააძევა და გააშავა ქუთაისისა და სხვა დაბა-ქალაქების ისრაელობამ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ბააზოვისთანა მგლები ყოველთვის მონახავენ ხვრელებს, ხოლო უდანაშაულო ხალხს ჩასტოვებენ ხოლმე გაჭირვებაში

რაც შეეხება ახლად გახსნილ თალმუდთორის არსებას, ჩვენ გადაჭრით ვამტკიცებთ, რომ ეს თალმუდთორა თუ მისი ხელმძღვანელი იქნა რაბინი დ. ბააზოვი იქნება არა სარწმუნოების, არა ღვთის მოყვარეობის, არა ძმობა-ერთობისა და რჯულ მოთმინეობის მქადაგებელი დაწესებულება, არამედ იგი იქნება წყარო ურწმუნოებისა, ეროვნებათა და სარწმუნოებათა შორის მტრობისა და შუღლის ქადაგებისა და იქ დაითესება შხამიანი თესლი სიონიზმისა, რომელიც მტრად გადაჰკიდებს ისრაელსა და ქრისტიანს, ებრაელსა და ქართველს, და დაბოლოს ერთი მეორის წინააღმდეგ დაჯაგრავს ონის ისრაელობას სხვა ქართველ ისრაელებთან ვინ იხეირებს აქედან ჩვენ არ ვიცით, ხოლო ის კი ვიცით, რომ ონის ისრაელებს ქუთაისისა და სხვა კუთხის ისრაელების წინააღმდეგ ბრძოლა არ გამოადგებათ და ბააზოვი კი დაიმსახურებს შტრეიხერ-ლევინსონების ხოტბასა და შეიძლება ფულსაც.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთ მოვლენებს ანგარიში უნდა გაუწიონ ქუთაისის ისრაელებმა და მოუწოდებთ მათ სათანადო ზომების მიღებისაკენ.

**ი. ხანანაშვილი.**

## დამფუძნებელი კრება

**ოქტომბრის 3 სხდომა.**

**შალვა მესხიშვილი.** (ს.-ფ.) ორატორი აღნიშნავს, რომ ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არ არის განმტკიცებული ელემენტარული მოქალაქეობრივი უფლებები და ჯერ კიდევ სათანადო ორგანოები არ სდგანან თავთავიანთ სიმაღლეზე. ჩვენ ვართ წინააღმდეგი, რომ ადმინისტრატიულად ხდებოდეს დატუსაღება, მაგრამ ადმინისტრატიული დატუსაღებაც უნდა სწარმოებდეს კანონიერს ფარგლებში. დღევანდელმა შეკითხვამ ნათელ ჰყო, რომ ჩვენში არ არსებობს მისაღები წესი ადმინისტრაციის მოქმედებისა. შეკითხვით გამოირკვა, რომ აქ დარღვეულია ელემენტარული უფლებები. მოქალაქემ არ იცის თუ რომელი უწყება ატუსაღებს მას. ასეთი წესი ყოვლად მიუღებელია და დაუშვებელი. დემოკრატიულ რესპუბლიკის შექმნა გვავალებს დავიცვათ ყოველ სფეროში პიროვნების და მოქალაქის უფლებები. ჩვენი თავისუფლება და წესრიგი შესაძლებელია განმტკიცდეს მხოლოდ უფლებრივსა და კანონიერების ნიადაგზე. სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია, რომელიც ყოველთვის იდგა და დღესაც სდგას უფლებრივ სახელმწიფოს შექმნის ნიადაგზე, ყოველთვის მიაქცევს მთავრობის ყურადღებას კანონიერებისაკენ და მოსთხოვს მას აღდგენილ იქნეს ჩვენში ისეთი მდგომარეობა, სადაც ყოველ მოქალაქეს საშუალება ექნება დაიცვას თავისი მოქალაქეობრივი უფლებები.

ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ უფლებრივ სახელმწიფოში უკანასკნელი სიტყვა დამნაშავის დასჯის შესახებ სასამართლოს ეკუთვნის. ამიტომ მე ვერ წარმომიდგენია ისეთი მდგომარეობა, როდესაც სასამართლო ვერ აძლევს საბუთებს დატუსაღებისათვის, მაგრამ ადმინისტრაცია მაინც აპატიმრებს.

უკანასკნელი სიტყვა უნდა ჰკუთნებოდა სასამართლოს და ადმინისტრაცია მის გადაწყვეტილებას უნდა დამორჩილებოდა. **შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი.** აღნიშნავს რომ ყოველ ადმინისტრატიულ ზომების მიღების დროს, თუ მათ სერიოზული მნიშვნელობა აქვთ მთავრობა მიმართავს გვარდიას. მთავრობა სცდილობს გამოიყენოს გვარდიის ძალები. როგორც დეზერტირების წინააღმდეგ ისე ყაჩაღებთან ბრძოლაში. ამ მხრივ სრულიად გაუგებარია ის საყვედური, რომელიც ისმის ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის ორატორებისგან იმის გამო რომ ბატ. ჩარკვიანი დატუსაღებული იყო გვარდიის მიერ სახალხო გვარდია ჩვენ გვეხმარება ასეთ საქმეებში. არაფრისთვის არ არის დასამალი, რომ ბ. ონიანის მკვლელობას ჰქონდა პოლიტიკური ხასიათი. ამ მხრივ საყურადღებო ის კი არ არის, თუ როგორ მოხდა ეს მკვლელობა, არამედ საყურადღებო ის არის, თუ ვინ იყო სულის ჩამდგმელი ამ მკვლელობის. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ თუ პოლიტიკური ჯგუფი არა განსაზღვრული წრე მაინც იღებდა მონაწილეობას ამ საქმეში ამ წრეებს კი კარგად იცნობს ეროვნულ დემოკრატიული პარტია. ამ წრიდან შორს არ სდგას ბ. ჩარკვიანი. აღსანიშნავია ისიც რომ მთელი ლეჩხუმის მაზრა და ნაწილი რაჭის მაზრისა კარგად იცნობს ბ. ჩარკვიანს და მოითხოვდა მის დაპატიმრებას. ასე, რომ მთავრობა იძულებული იყო მის წინააღმდეგ სათანადო ზომები მიეღო წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხს შეეძლო მის მოკვლა. ჩვენს უტყუარ რწმენას ჩარკვიანის დანაშაულობის შესახებ თან ერთოდა ორი მაზრის დემოკრატიის ხმა და ამიტომ ჩვენ შეგვეძლო მის წინააღმდეგ ადმინისტრატიული ზომების მიღება. ეს არავითარ უკმაყოფილებას არ უნდა იწვევდეს არც ერთ ბანაკში. ჩვენ ერთნაირად ვდგებით როგორც მემარცხენე ელემენტებს, რომელთაც ანარქია შეაქვთ ჩვენს ცხოვრებაში, ისე მემარჯვენეთ.

**გ. ჟურული** (ს.-დ.) მაშინ, როდესაც მთელს ჩვენს ქვეყანას მეტად მძიმე დრო დასდგომია აქ ჩვენ გველაპარაკებიან ისეთ უმნიშვნელო საკითხზე, რომელიც არის ბ. ჩარკვიანის დაპატიმრება. მემარჯვენეები დიდ ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ ჩარკვიანს არ წარმოუდგინეს დაპატიმრების დროს ორდერი. ეს გასაკვირველი არ არის როდესაც ჩვენ ბოლშევიკებს ვებრძვით, მაშინ ისინი ხმას არ იღებენ, ხოლო როდესაც ჩვენი ზომები მიმართულია ისეთ მემარჯვენე რეაქციონურ ელემენტებისაკენ, როგორიც არის ბატ. ჩარკვიანი, ისინი ორდერებს მოითხოვენ. მე მახსოვს, როდესაც ერთ რეაქციონერ გენერალს ვატყვევებდით, მან განაცხადა, რომ როგორ შეგიძლიანთ თქვენ ჩემი დაჭერა, ორდერი არ გაქვთო

ეს გარემოება გასაკვირველი არ არის, რადგან ეროვნულ დემოკრატებს, როგორც ამ გენერალს, ავიწყდებათ, რომ არსებობს რევოლიუციუხანა და რევოლიუციური პრაქტიკა.

მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ ასევე იქცევიან სოც.-ფედერალისტები.

მაგრამ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ჩვენ ნაბიჯებს, ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია არ იზიარებს, მას რომ სავსებით გაეზიარებინა ჩვენი ნაბიჯები ჩვენ მის სისწორეში შეიძლება ეჭვიც შეგვსვლოდა.

ეხლა კი ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი ნაბიჯი სწორია და მის გადადგმაში ვერავინ შეგვიშლის ხელს.

**ლ. შენგელია.** (ს. რ.) ორატორი აღნიშნავს, რომ უფლებრივ სახელმწიფოში შეუძლებელია ისეთ წესების არსებობა, როგორც ჩვენში არსებობენ აღსანიშნავია, რომ ბატონ ონიანის მკვლელობაში თვით მილიციონრები ურევიან. დღემდის ჩვენში ყაჩაღობა იმიტომ ვერ მოუსპიათ, რომ თვით მილიციაში არიან ყაჩაღები, და თუ ყაჩაღებს შეიპყრობენ მაშინ მილიცია აღარ იქნება.

**თ. კიკვაძე.** (ს. დ.) ჩვენ ვამართლებთ მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს. მინისტრმა აქ განაცხადა, რომ მის რწმენას ჩარკვიანის დანაშაულობის შესახებ ადასტურებს აგრეთვე ორი მაზრის დემოკრატიის ხმა. ნათქვამია, ხმა ერისა და ხმა ღვთისაო.

მინისტრს არ შეეძლო არ აესრულებინა 2 მაზრის დემოკრატიის სურვილი და არ შეეპყრო ჩარკვიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა იგი მოეკლათ და ანარქიას მოეცვა ის მხარე. ეროვნულ დე-

# უკანასკნელი ცნობები

ინგლისში გაფიცვა ძლიერდება.

ჩრდილოეთ რუსეთში წითელ არმიის წინააღმდეგ შეტევას აწარმოებენ.

ციმბირში აჯანყება იზრდება. მრავალ სოფლებში საბჭოთა ძალა-უფლება გამოცხადდა.

პეტროზავოდსკის მიმართულებით მდ. ქამის სანახებში ბოლშევიკების შეტევა გრძელდება.

ნოვგოროდ-სევერსკის რაიონში 12 ვერსზე სამხრეთით ბრძოლაა.

იალტუროვის სანახებში მთელ ასპარეზზე ბოლშევიკები იმარჯვებენ.

ბალტიის პროვინციების ევაკუაცია დაწყობილია.

მოკრატებს ჰსურთ ხელი მოითმონ ამ ანარქიით, მაგრამ ჩვენთვის სჯობია ერთი კაცი იყოს დაპატიმრებული ვიდრე ის რომ ანარქია შევქმნათ.

**თავმჯდომარე**. წინადადება არის შესწყდეს კამათი.

**ს. დადიანი.** (ს ფ.) აზრის საბოლოო გამოსარკვევად საჭიროა რომ ყველას მიეცეს შეძლება გამოსთქვან თავთავიანთი აზრი. ამისათვის კი საჭიროა რომ სიტყვის გილიოტინა არ იქნას აქ აღმართული.

**კ. ჩიხიძე.** ყველა ფრაქციის წარმომადგენელმა ილაპარაკა ასე რომ აქ სიტყვის გილიოტინას ადგილი არ აქვს.

კამათის შეწყვეტის წინააღმდეგი აღმოჩნდა 13 კაცი. კამათი გრძელდება.

(შემდეგი იქნება)

## ნადიმი გენ. ჰარბორდის პატივსაცემად

პარასკევს 3 ღვინობისთვეს ქართულ კლუბის საზაფხულო ბაღში მთავრობამ ნადიმი გადუხადა თფილისში ჩამოსულ შეერთებულ შტატების წარმომადგენელს გენ. ჰარბორდს. ბაღის ვერანდა მორთული იყო ყვავილ გვირგვინებით და ელექტრონის ფერადი შუშებით. თვით დარბაზი ნოხებით და ინგლის საქართველოს ალმებით მოოჭვილ მოკაზმული იყო. სალ. 8 საათზე სტუმრები მიიღეს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ე. გეგეჭკორმა და ქალაქის მოურავმა ბ. ბ. ჩხიკვიშვილმა. ნადიმს დაესწრენ: თავმჯდომარის მოადგილე ბ. გეგეჭკორი შინაგან საქმეთა მინისტრი ბ. რამიშვილი, მიწ. მოქ. მინისტრი ბ. ხომერიკი, ფინ. და ვაჭრობა და მრეწველობის მინისტრი ბ. კანდელაკი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგის მოადგილე ნ. ი. ქარცივაძე დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის მოადგილე ბ. ლომთათიძე, სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენ. გედევანიშვილი დ. ღამბაშიძე გზათა უფროსი ბ. ქიქინაძე წევრნი დამფუძნებელი კრებისა და გენერალიტეტი.

გენ. ჰარბორდის მოსვლისას საყვირნი შეხვდნენ. გენ. ჰარბოდს თან მოჰყვებოდნენ მოკავშირეთა უმაღლესი კომისარი ამიერ-კავკასიაში გენ. ჰასკელი და ამალა 50 კაცამდე.

ბ-ნ ე. პ. გეგეჭკორის წინადადებით თამადათ არჩეულ იქმნა ბ. დ. ღამბაშიძე რომელმაც განაცხადა რომ გენ. ჰარბორდი ითხოვს რომ ყოველგვარ გაუგებრობის და მეტ ნაკლებობის ასაცდენათ პოლიტიკური სიტყვები არ იქმნეს წარმოთქმული არამედ ნადიმს მიეცეს ნამდვილი მხიარულების ელფერი.

თამადამ პირველი სადღეგრძელო დალია პრეზიდენტ ვილსონისა და აღნიშნა მისი დიადი როლი ზავის ჩამოგდებაში და მცირე ერთა განთავისუფლების საქმეში.

შემდეგ დალია სადღეგრძელო მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნ ჟორდანიასი, ამერიკის ლაშქრისა. გენ. ჰარბორდმა საპასუხო სადღეგრძელო მიირთვა საქართველოს ლაშქრისა, შემდეგ თამადამ მიირთვა სადღეგრძელო გენ. ჰარბორდისა, რომელსაც ასეთი დიდი საპატიო მონდობილობა აქვს და უსურვა კეთილად დაგვირგვინება მისი მისიისა, შემდეგ დალია სადღეგრძელო ამერიკის ფლოტისა, რომელსაც აგრესიულ მიზნები არ ექნება არამედ დარაჯად ედგება სამართლიანობის თავდაცვას.

შემდეგ დაილია სადღეგრძელო გენ. ჰასკელისა. ბ-ნ ე. პ. გეგეჭკორმა საგანგებო სადღეგრძელო დალია ამერიკელ ნაციისა, რის შემდეგ გენ. ჰარბორდმა საპასუხოთ მიირთვა ქართველი ერის სადღეგრძელო და ადღეგრძელა „მშვენიერი საქართველო, რომელსაც ათასწლოვანი ისტორია აქვს სცხოვრობს ასეთს მშვენიერს ქვეყანაში, ასეთი გმირი ვაჟკაცნი და ტურფა ქალები ჰყავს“.

ყველა სადღეგრძელოები სიმებიან ორკესტრით და საზანდრის ცემით იყო დაფარული.

ნადიმზე მღეროდა ძუკუ ლოლუას და სამხედრო გუნდი ალ. მაისურაძის ლოტბარობით. ყარაჩოღელმა თბილისელმა ხილის თარეჯი მიართვა თაბახით გენ. ჰარბორდს, რომელსაც ძლიერ ესიამოვნა ეს ადათი.

ღამის 12 საათზე გენ. ჰარბორდმა მოიხადა ბოდიში რომ მიუცილებელ საქმეთა გამო იგი იძულებულია დასტოვოს ეს ძვირფასი სუფრა და დანარჩენთ სთხოვს იმხიარულონ და დრო ატარონ. გენ. ჰარბორდი გააცილეს დიდი ოვაციით. ნადიმი ნაშუაღამის 3 საათამდე გაგრძელდა და დიდათ ნასიამოვნები დაიშალა.

## ქრონიკა

**ჰარბორდის ჩამოსვლა.** გუშინ დღის 12 საათზე ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა გენ. ჰარბორდი. სადგურზე შეხვდენ სამხედრო მინისტრის ამხანაგი გენ. გედევანიშვილი. დიპლომ. წარმომადგენელი ლონდონში ბ-ნი დ. ღამბაშიძე, რკინის გზის დეპარტ. დირექტორი ბ. ქიქინაძე შტაბის უფროსი გენ. ზაქარიაძე გენერლები გელოვანი მიქელაძე ჯაფარიძე და სხვ. ნაშუადღევის 5 საათზე ბ. ხოშტარიას ბინაზე გენ. ჰარბორდი მიწვეული იყო საუზმეზე. სალ. 8 საათზე გენ. ჰარბორდი თბილისიდან ბათომს გაემგზავრა.

◆ **დელეგაციის გამგზავრება** გუშინ თბილისიდან აჭარაში გაემგზავრა აჭარელთა დელეგაციის მეთაური ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილი. მასთან ერთად გაემგზავრა დამფუძნებელ კრების წევრი ბ. ანჯაფარიძე და გენ. ჩიქოვანი.

◆ **საგარეო საქმეთა მინისტრს ბ-ნ** გეგეჭკორს გუშინ სადარბაზოდ წარუდგა ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილი და მადლობა გადუხადა იმ ყურადღებისათვის რომელიც საქართველოს მთავრობამ აღმოუჩინა აჭარელთ.

◆ **გენ. ბარათოვის მდგომარეობა.** გენ. ბარათოვს როგორც აღნიშნული გვქონდა ჰრილობით სისხლი მოეწამლა ამის გამო საგანგებო კონსილიუმმა ბაქოდან ცნობილი ქირურგი პროფესორი ოპპელი, რომლის ასისტენტობით ქირ. მუხაძემ ბარათოვს ოპერაცია გაუკეთა და დაზიანებული ფეხი მოსჭრა.

◆ **მე-2 ქართული კლუბი:** 5 ოქტომბერს შესდგა მე-2 ქართულ კლუბის წევრთა კრება. რომელმაც განიხილა წარსული წლის ანგარიში და 30.000 მან. გადასდო საზამთრო შენობის შესაკეთებლად. კრებამ აირჩია 200 წევრი და 50 კანდიდატი.

1 **ქართულ კლუბში.** 5 ოქტომბერს შესდგა 1 ქართულ კლუბის წევრთა და მამასახლისთა საზოგადო კრება, რომელმაც თავის წლიურ მოგებიდან გადასდო 50,000 მან. საშუალო სასწავლებლებში სტიპენდიების დასაარსებლად 50,000 აჭარელ ბავშვებისათვის და 25,000 უადგილოდ დარჩენილ ოფიცერთათვის.

◆ **ლტოლვილები ბათომისაკენ.** თბილისში მყოფმა სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენელმა ბათომში თავის რწმუნებულს დეპეშით შეატყობინა, რათა მან შესწყვიტოს დახმარების აღმოჩენა იმ სომეხ ლტოლვილთათვის, რომელნიც ოქტომბრის 1-ლიდან ბათომს ჩავლენ ეს დეპეშა გამოწვეულია იმ მდგომარეობით, რომ ბოლო ხანებში ბათომში ლტოლვილთა წასვლამ მასსიური ხასიათი მიიღო.

◆ **სკოლები ლტოლვილ ბავშთათვის.** სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენლობა თბილისში მყოფ ლტოლვილთა ბავშვებისათვის ჰხსნის ხუთ პირველ დაწყებით სასწავლებელს, რომლის გამგეობლობაც გადაცემული—აქვს დასავლეთ სომხეთის მასწავლებელთა კავშირს.

◆ **ა. შარაფიანი** დაინიშნა სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენელ დავითხანიანის მეორე თანაშემწედ.

◆ **ბრძოლა ფასების მომატების წინააღმდეგ.** ქალაქის გამგეობას საბჭოში შეაქვს დასამტკიცებლად პროექტი ფასების მომატების წინააღმდეგ საბრძოლველ სავალდებულო დადგენილებისა.

◆ **რუსეთიდან ჩამოსულთა** საყურადღებოდ გვთხოვენ გამოვაცხადოთ რომ თუ ვინმემ რაიმე იცოდეს ექიმიონა ერასტის ძე გაბიჩვაძის შესახებ კეთილ ინებონ და აცნობონ პირადად ან წერილობით მის ძმას შემდეგი მისამართით: ჩერქეზიშვილის ქუჩა № 70, სახაზინო რკინის გზის საშემოსავლო ნაწილი არისტ. გაბიჩვაძეს. უკანასკნელი ცნობით იგი იმყოფებოდა ქ. სიზრანში.

**დაზარალებულთა დახმარება.** შინაგან საქმეთა მინისტრმა წარუდგინა მთავრობას მოხსენება ცხინვალის არემარეში სეტყვისა და ნიაღვარისაგან დაზარალებულ მცხოვრებთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ სურსათის მიწოდებით. თანახმად მოხსენებისა სეტყვას და ნიაღვარს გაუნადგურებია მოსავალი შემდეგ სოფლებში თამარაშენში, ქვემო აჩხოთში, სვერში, ზემო აჩხოთში და ხეითში ამას გარდა ნიაღვრისაგან დაზარალებულია ცხინვალის რაიონის სხვა სოფლებიც.

◆ **ქვანახშირის რაიონის გამოკვლევა.** სამთო ინჟინერმა კონიუშევსკიმ, რომელიც სახერე-ტყვიბულის ქვა-ნახშირის გამოკვლევა მოახდინა, შეადგინა ამ რაიონის გეოლოგიური აღწერა, რომელსაც ესკიზები და რუქები აქვს თან დართული. ეს აღწერა ზოგიერთი დამატებით სამთო სამმართველომ მთავრობის საფინანსო-საეკონომიო კომისიას გადასცა, რომელიც იტალიაში მიემგზავრება.

◆ **ბორჩალოს მაზრის მცხოვრებთათვის დახმარების აღმოჩენა.** შინაგან საქმეთა მინისტრი შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, რათა 276,000 მან. დახმარება აღმოუჩინოს ბორჩალოს მაზრის მოსახლეებს, რომელიც დაზარალდა სომხეთ - საქართველოს ომის დროს.

◆ **ბოდბის წმ. ნინოს მონასტერთან** არსებულ სკოლებში განმეორებით და მისაღები გამოცდები დაიწყო. სწავლა დაიწყობა 6 ოქტომბერს. სკოლასთან პანსიონია და ღირს 4,500 მან წელიწადში.

◆ **მილიციის შტატები.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაუგზავნა სამაზრო ერობებსა და მაზრის კომისრებს შემდეგი დეპეშა. გთხოვთ სასწრაფოთ წარმოადგინოთ მილიციის შტატი და ხარჯთ აღრიცხვა იმ ანგარიშით რომ ერთი კვირის განმავლობაში იქმნეს შეტანილი სათანადო კანონ-პროექტი დამფუძნებელ კრებაში გასარჩევად

◆ **ახალი დებულება ერობაზე.** შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით შესდგა საგანგებო კომისია რომელსაც დავალებული აქვს შედგენა ერობის ახალი დებულების შედგენა.

**პოლ. საგინაშვილის გაძარცვა.** პარასკევს 3 ოქტომბერს, დუშეთსა და წავკისის შუა, ბოროტ გამზრახველები თავს დაესხნენ, ეტლით მიმავალ პოლკ. საგინაშვილს და წაართვეს 60,000 მან. ძვირფასი ნივთები და 15,000 მან სახელმწიფო ფული.

◆ **მოსავალი დასავლეთ საქართველოში.** მიწათ მოქმედ. სამინისტროს სპეციალისტი ბ. ბერეკაშვილი დაბრუნდა ამ დღეებში დასავლეთ საქართველოდან, სადაც მან აღნუსხა მოსავლის მდგომარეობა იმერეთში. თანახმად მისი მოხსენებისა. მოსავალი როგორც ყურძნის ისე სიმინდის ძლიერ ნაკლებია. სიმინდის ფქვილის ფასი იწევს ფუთი 150 მან. ღვინის ფასი 4000 მან. საპალნე (10 12 ფუთი). ბაღდადის რაიონში მიწ. მოქმ. სამინისტრო ყიდულობს, ასე რომ შეღავათი ეძლევათ მცხოვრებთ სპეკულიანტების კლანჭებიდან თავდახწევისა.

◆ **ათონის ივერიის მონასტრის დელეგაცია კათალიკოსთან.** მათ უწმინდესობას კათალიკოს პატრიარქს სრულიად საქართველოისას წარუდგა სტამბოლიდან ჩამოსული დელეგაცია მღ. მონ. ილიას მეთაურობით.

◆ **მელვ. და მევენახ. ჟურნალი.** ამ მოკლე ხანში გამოვა ახალი ორკვირეული ჟურნალი „მევენახეობა და მეღვინეობა“, მიწ. მოქმ. სამინ. სპეციალისტის ბ. ბერეკაშვილის რედაქტორობით.

◆ **დახმარება ახალქალ. მცხოვრებთ.** თბილისში დაბრუნდა ახალ-ქალაქის მაზრაში გამგზავრებული მთავარ-რწმუნებული შინ. საქმ. სამინ. ლტოლვილ დამხმარე კომიტეტისა ბ. ჩიკვაიძე და ვრცელი მოხსენება წარუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრს. თანახმად მოხსენებისა: ამერიკის მისიას უკვე ჩაუზიდავს სიმინდი მცხოვრებთა დასარიგებლად. შინაგან საქმეთა სამინისტროს საწყობებში საკმაო სიმინდია დაგროვილი. ბ. ჩიკვაიძე შუამდგომლობს მცხოვრებთა უზრუნველ საყოფათ სათესლე სათბობ და ტანთსამოს მასალით.

◆ **ერობაში.** თბ. სამაზრო ერობის გამგეობის წევრთა ფუნქციები უკვე დანაწილდა: თავმჯდომარე განთავისუფლებულია სექციათა გამგებლობისაგან. სასურსათო განყოფილების გამგებლობა ჩაბარდა—გ. ი. კანდელაკს, ფინანსთა და ტეხნიკური—ესტ. ავალიშვილს, ადმინისტრატიული და სასკოლო ლევ. ასათიანს, აგრარული და სტატისტიკური—მიხ. იახანოვს, აგრონომიული და საბეითლო ლევ. მამულაშვილს.

◆ **შახსეი ვახსეი,** გუშინ დაიწყო მაჰმადიანთა დღესასწაული შახსეი ვახსეი.

### ბოროტმოქმედება

◆ **დიდი ქურდობა.** შაბათს, 4 ღვინობისთვეს, შუაბაზარში გასტეხეს გ. ს. არუთინოვის ოქრო-ვერცხლის სავაჭრო მაღაზია და გაიტანეს 5 მილიონ მანეთამდე ღირებული ნივთეულობა. ამ ბოროტმოქმედებაში მონაწილეობა მიუღია მეტად დახელოვნებულ ბოროტმოქმედთა ჯგუფს —დაახლოებით 50 კაცამდე. წინა დღეებში ამ ჯგუფის წევრთ ამ მაღაზიის გვერდზე ცარიელი ოთახი უქირავიათ და გაძარცვის დღეს 4 მუშით მიუზიდიათ სატეხი მანქანები და მთელი ლაბორატორია. ძარცვის დროს შეუკრავთ მთელი ქუჩა. მილიციონერი გაგნიძე და მეეზოვე დაუტუსაღებიათ და სადარაჯოებზე თავთავიანთი აგენტები დაუყენებიათ. მთელი ძვირფასი ნივთეულობა არუთინოვს დიდ ფოლადის განჯინაში ჰქონია შენახული, ხალისი ოქრო ჰქონია შენახული 1 ფუთამდე, ბრილიანტის თვლები და ოქრო-ვერცხლის ნივთები ბოროტმოქმედნი ამ უზარმაზარ ფოლადის კლიტეები ამოუწვავთ მჟავბადით და ელექტრონით და დიდი წვიმა ნიაღვრით უსარგებლიათ და სულ ერთიან წაუღიათ. დაპატიმრებულია: თეძი პეტრე გიგაია, რომელსაც სახლის პატრონთან რეკომენდაცია გაუწევია იმ საეჭვო მდგმურებზე, რომელსაც არუთინოვის მაღაზიის გვერდზე მდებარე ცარიელი ოთახი აუღია და მილიციონერი ძაგნიძე და სხვა.

◆ **ყაჩაღ მშვიდობაძის მოკვლა.** სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ლანჩხუთიდან ატყობინებენ, რომ ადგილობრივ გვარდიელებმა 5 ოქტომბერს მოჰკლეს ყაჩაღთა შორის მეთაური ნესტორ მშვიდობაძე.

◆ **თვითმკვლელობა.** 3 ოქტომბერს კირკის ქუჩაზე მცხოვრებ სოფ. ლომბერიძემ რევოლვერით თავი მოიკლა.

◆ **გაძარცვა.** 5 ოქტომბერს სამხედრო საავადმყოფოს ახლოს მიმავალ ნიკოლაევს თავს დაესხნენ რამოდენიმე შეიარაღებული ბოროტგამზრახველნი და 5 ათასი მანეთი წაართვეს. მილიციამ დააპატიმრა კოლასოვსკი, კრივიცკი და სინეგლებოვი, რომელნიც დანაშაულში გამოტყდენ.

## პროვინციის ცხოვრება

### ქუთაისი.

**ელიგულაშვილის გატაცების განზრახვა.** ქუთაისის ოლქის პროკურორი იუსტიციის მინისტრს ატყობინებს, რომ 28 ენკენისთვეს, ქუთაისში ვორონცოვის ქუჩაზე მოსე არ. ელიგულაშვილს გატაცების მიზნით თავს დაესხა რამოდენიმე ბოროტ-გამზრახველი, მაგრამ მათ მიზანს ვერ მიაღწიეს, რადგანაც იქვე მდგარმა მილიციელმა სროლა აუტეხათ, მილიციელმა დასჭრა ერთი ბოროტ-გამზრახველთაგანი ს. ზხეფის (სენაკის მაზრა) მცხოვრები ანტონ ძიძიგური. დანარჩენ ბოროტ-გამზრახველთა დასაჭერად მიღებულია სათანადო ზომები.

### ს. სიქთარვა.

სოფ. სიქთარვაში (შორაპნის მაზრა) მიხეილ ნებიერიძემ მოჰკლა დავით ნებიერიძე მკვლელი დააპატიმრეს.

### ს. როხი. (ქუთ. მაზ.)

ენკენისთვის ბოლო რიცხვებში ბოროტ-გამზრახველები თავს დაესხნენ ს. როხის მცხოვრებ მაქსიმე როხვაძეს, და მოჰკლეს.

### ფოთი.

21 სექტემბერს ახალი სტილით, ხოლო ძველით—8 სექტემბერს ფოთის საკათედრო ტაძარმა დიდის ზეიმით გარდაიხადა ახლად დაწესებული ღვთისმშობლის დაბადების სახელზე ტაძრის დღესასწაული. წირვისა და პარაკლისის შემდეგ ადგილობრივ კინემატოგრაფ „კომეტა“ში დეკ. ი. ბობოხიძემ წაიკითხა ლექცია შესახებ სახელმწიფოდან ეკლესიის გამოყოფისა. ლექციას დაესწრო დიდძალი საზოგადოება.

## შევარდენი ქუთაისში

5 ოქტომბერს ქ. ქუთაისში ჩავიდა ქართულ ტანთ-სავარჯიშო „შევარდენთა“ რაზმი, რომელსაც გზაზე შეეგება 1 გიმნაზიის მასწავლებლები.

დღის 12 საათზე 1 გიმნაზიის ეზოში გაიმართა შევარდენთა დილა მრავალ-ფეროვანი პროგრამით, ვარჯიშობის დროს თავი ისახელეს კაპ. დ. ჯავრიშვილმა და გ. ბერელაშვილმა. შესანიშნავი იყო ქალთა ჯგუფის ვარჯიშობა, რომელთა შორისაც თავი ისახელა თ. ნიკოლაძის ქალმა.

დიდებულად შეასრულეს რთული და 5 ნაწილიანი ვარჯიში „საქართველოს ვარსკვლავი“.

დილას დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

საღამოს 7 საათზე წ. ნინოს სასწავლებელში შესდგა ქუთაისის შევარდენის საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა თბილისის შევარდენის საზოგადოების თავმჯდომარე პოლ. კაკაბაძე. მდივნად ალ. თორაძე. კრებაზე აირჩიეს საზოგადოების გამგეობა. ქუთაის. შევარდ. ვარჯიშ-მთავრად აირჩიეს კაპ. დ. ჯავრიშვილი კრების დათავების თბილისის შევარდენთა რაზმი საგანგებო მატარებლით თბილისისკენ გამოემართა.

## სამხედრო მინისტრის ბრძანება

სამხედრო მინისტრმა შემდეგი ბრძანება გამოსცა საქართველოს რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

1. საქართველოს რესპუბლიკის ჯარში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის მთავარ ხელმძღვანელად ვნიშნავ განსაკუთრებულ მინდობილობის შტაბ-ოფიცერს პოლკოვნიკ **ართმელაძეს** და მასვე უქვემდებარებ სამინისტროსთან არსებულ კულტურულ-განმანათლებელ სექციას.
2. რათა მან, საჭიროებისამებრ, შესძლოს დაუბრკოლებლად გარნიზონის სხვა და სხვა ნაწილებში მიმოსვლა და აგრეთვე სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებთან და ორგანიზაციებთან საჭირო კავშირის დაჭერა, მიეცეს მას მოთხოვნილებისამებრ ავტომობილი.
3. რკინის გზაზე მიმოსვლის გასაადვილებლათ—უბრძანებ გენერალურ შტაბის უფროსს, რათა მან აღმოუჩინოს ამ მხრით პოლკოვნიკ **ართმელაძეს** ყოველგვარი დახმარება.
4. პოლკოვნიკ **ართმელაძეს**, როგორც მთავარ ხელმძღვანელს ჯარში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობისას, მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების საქმეში, ნება ეძლევა მიმართოს პრესას, საზოგადოებებს და დაწესებულებებს სხვა და სხვა ხასიათის დახმარებისათვის.
5. უბრძანებ ნაწილების უფროსებს —განუმარტონ ოფიცრობას, თუ რანაირი შეთანხმებული მუშაობაა საჭირო და რანაირათ უნდა გატარდეს ეს ოუ ის საჭირო ბრძანება, ანუ განკარგულება ცხოვრებაში.
6. უბრძანებ ათასეულების უფროსებს ეხლავე შეუდგნენ გუნდებში საგუნდო სკოლების მოწყობას, სადაც ყველამ, წერა-კითხვის უცოდინარმა, უნდა შეისწავლოს წერა-კითხვა და ანგარიში. მოიმარაგონ ჯარის კაცთა უნივერსიტეტის საათასეულო სკოლისა და სამკითხველოს მოსაწყობათ ბინები და ყოველგვარი დახმარება გაუწიონ—ჯარში კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის ნაყოფიერათ წარმართვის საქმეებში—მთავარ ხელმძღვანელს პოლკოვნიკ ართმელაძეს.
7. სამხედრო სამინისტროსთან არსებულ კულტურულ-განმანათლებელ სექციის შესაფერი ბინა დაეთმოს სამხედრო სამინისტროს შენობაში და მოწყობილ იქმნას იგი ტელეფონით და სხვა აუცილებელი ავეჯეულობით. დაინიშნოს სექციის კანცელარიაში ერთი შიკრიკი სადარაჯო ათასეულიდგან.

## ქართველ მაჰმადიან ახალგაზდებისათვის

5 ღვინობისთვეს ქართული კლუბის არაჩვეულებრივმა საზოგადო კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომელსაც ჩვენ დიდი სიამოვნებით ვეგებებით. კრებამ გადაწყვიტა მამასახლისის ვ. სურგულაძის წინადადების თანახმად გადასდოს ყოველ წლიურად ოთხმოცდაათი ათასი მანეთი მაჰმადიან ქართველთა ყმაწვილებისათვის სტიპენდიების დასაარსებლად სხვა და სხვა სასწავლებლებში. მაშინ ქართველთა ახალთაობის აღზრდას ჩვენთვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. აგრეთვე ვიმედოვნებთ, რომ ჩვენ საზოგადოებრივ დაწესებულებას ესეთი ნაბიჯი არ დარჩება უყურადღებოდ მოწინავე მუსულმან ქართველთათვისაც.

## ბათომი

საგარეო საქმეთა სამინისტროს ბათომიდან საქართველოს კონსული შემდეგს ატყობინებს.

კვირას, ოქტომბრის 5-ს. 2 ს. და 30 წ., ბათომის სადგურის შენობაში სადგურის უფროსმა კონტროლიორმა შტაბს კაპიტანმა რაევმა შეურაცხყოფა მიაყენა საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ბათომში გაგზავნილ ბ. მასხარაშვილს. როცა ბ. მასხარაშვილმა პასუხი გასცა შეურაცხმყოფელს, უკანასკნელმა იძრო რევოლვერი და დასჭრა ხელში და მუცელში ბ. მასხარაშვილი დაჭრილს პირველი საექიმო დახმარება აღმოუჩინა სადგურის ექიმმა და შემდეგ ინგლისელებმა ავტომობილით წაიყვანეს ინგლისელ ოფიცერთა ლაზარეთში. დაჭრილი იმ დღესვე ინახულა გენერალ გუბერნატორმა გუგოლისმა და ღრმა მწუხარება გამოუცხადა მომხდარ შემთხვევის გამო. საქართველოს კონსულის მოთხოვნით საქართველოდან იტალიაში მიმავალ დელეგაციის ვაგონს სადგურზე მიუყენეს მცველებად ინგლისელები. დაჭრილის მდგომარეობა ჯერჯერობით შიშს არ იწვევს. ამ ამბავმა ძლიერ აალელვა ბათომის ქართველი საზოგადოება.

## სომხეთში

**სწავლა აღზრდა.**

მომავალ სამოსწავლო წლიდან, სომხეთში მთავრობის ხარჯზე იხსნება რამდენიმე დაბალი პირველ დაწყებითი სასწავლებელი და სახალხო უნივერსიტეტი.

**თოფჩიანის წასვლა.**

საქ. სომეხთა ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ბატ. თოფჩიანი გუშინ ერივანში წავიდა.

**სომეხთა დრამატიული სტუდია.**

სომეხთა დრამატიულ საზოგადოებასთან ორშაბათიდან იხსნება დრამატიული სტუდია სცენის მოყვარეთა მოსამზადებლად.

## აზერბეიჯანი

**სომეხთა გამოსვლები მაჰმადიანთა წინააღმდეგ.**

ზანგეზურის სამაზრო უფროსის ცნობით, ენკენისთვის პირველ დღეებში, იყო რამდენიმე გამოსვლა სომხებისა მაჰმადიანთა წინააღმდეგ.

1) 4 ენკენისთვეს, რიჟრაჟისას, სომეხთა რაზმები მოულოდნელად თავს დაესხნენ მაჰმადიანთა სოფელს ქურუთ-ქალამის და მოჰკლეს ათი მამაკაცი.

2) ენკენისთვის პირველ კვირაში არ გასულა დღე რომ სომხები თავს არ დასხმოდნენ მაჰმადიანთა სოფლებს და არ დაერბიათ იგინი. უკანასკნელად, სომეხთა ძალები შეგროვდნენ ეჯანინის ხეობაში, ყაფანის სანახებში, რათა აქედან ადვილად შეეძლოთ მოულოდნელ თავდასხმების მოწყობა.

(„აზერბ.“)

**ზანგეზურში.**

გაზ. „აზერბ.“ იუწყება: ზანგეზურის მინდვრები გახდა ასპარეზად სასინელეებისა. მცირე წლოვანთა და მშიშველ დედაკაცების ბინად. ზანგეზურის ლტოლვილთა უმეტესობა სიმშილით ამოწყდა. მაჰმადიანთა სოფლები ალყა შემორტყმულია სომხებისგან და იღუპებიან სიმშილით.

## უკრაინაში

**მდგომარეობა კიევში.**

კიევიდან ჩამოსული შემდეგს გადმოგვცემს კიევის მდგომარეობის შესახებ: კიევი პეტლიურას ჯარმა და დენიკინელებმა აიღეს. 10 ენკენისთვეს როდესაც ქალაქში შევიდნენ ქალაქის გამგეობის შენობაზე აღმართეს უკრაინის დროშა. დენიკინელებმა მოინდომეს თავიანთი დროშის აღმართვა რამაც გამოიწვია განხეთქილება პეტლიურასა და დენიკინელებს შორის. ხალხმა ჩამოაგდო და დახია რუსეთის დროშა, ამის გამო დენიკინელებმა ესროლეს ხალხს. პეტლიურას ჯარმა სროლითვე უპასუხა, სროლამ რამოდენიმე საათს გასტანა. პეტლიურას ჯარი ისროდა ქალაქს გარედ მძიმე არტილერიით. და ბოლოს დენიკინე-

ლებმა დასძლიეს იარაღი აჰყარეს უკრაინელებს ქალაქი დაიპყრეს და ქალაქის გამგეობაზე უკრაინის დროშის მაგივრად რუსის დროშა აღმართეს.

პური ღირდა გირვანქა 150 მან., კვერცხი ცალი 12 მან., ხორცი გირვანქა—190 მან. და სხ.

ყველა უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები დახურულია, სტუდენტებს და მოწაფეებს ძალათ ჯარში იწვევენ. ქართველები თითქმის სულ ერთიანად მოდიან. განსაკუთრებით სტუდენტები თუ კი თავს დააღწევენ.

პირველი პარტია ქართველებისა უკვე ჩამოვიდა თბილისში მეორე პარტია უნდა გამოსულიყო კიევიდან გუშინ.

## ოსმალთ ახალი ყრილობა

გაზ. „აზხატავორს" სტამბოლიდან ატყობინებენ, რომ ენკენისთვეში ქ. სებასტიაში მომხდარი ახალი ყრილობა მუსტაფა ქამილ ფაშის თავმჯდომარეობით ყრილობაზე გამოსულან ოსმალეთის ყველა ვილაეთების წარმომადგენელნი, გარდა ჰარბერდის და დიარბექირის წარმომადგენლებისა. ყრილობაზე დაუგზავნიათ.

1. გაგზავნოს დეპეშა ხალიფას უქვეშევრდომილეს გრძნობების გამოსახატავად.

2. მზად არიან დაიცვან თვისი ტერიტორია და იბრძოლონ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

3. მზად არიან მოითხოვონ და სისხლით დაიცვან ყველა ის ნაწილები, რომელიც დაჰფარა ოსმალეთის სახელმწიფომ.

4. დაუყონებლივ დაიწყ ს პარლამენტის არჩევნები და შედგეს პარლამენტი.

5. პარლამენტის უმრავლესობისაგან შედგენილ იქმნას ახალი მთავრობა, რომელსაც უნდა დაუთმოს თავის ადგილი ახლანდელ არა პატრიოტულმა კაბინეთმა.

6. თუ ცენტრის მთავრობამ ეს მოთხოვნილება არ დააკმაყოფილა მაშინ, შედგება ახალი მთავრობა მცირე აზიის რომელიმე კუთხეში.

## მაქსიმ გორკის ბედი

ჰელსინგფორსიდან დეპეშით აცნობებენ „ტემპ"-ს, რომ საგანგებო კომისიის მეთაურ ხელმძღვანელმა პეტერსონმა ბრძანება გასცა მაქსიმ გორკის დასაპატიმრებლად. მწერალთან ერთად დაჭერილია მისი მეუღლე. „გერმანულ საზოგადო გოზ"-ის ცნობებით კი მაქსიმ გორკი დახვრეტილ იქმნა ლატიშ კომუნისტების მიერ.

## ამბოხება დაღესტანში

**აზერბაიჯანის ნოტა დაღესტნის შესახებ**

საგარეო საქმეთა მინისტრმა, „ოზერ"-ის ცნობით მთავრობის სახელით ტელეგრამა გაუგზავნა საზავო კონფერენციის უმაღლეს კომისარს ამიერკავკასიაში, პოლკ. ჰასკელს, რომელშიც აწერილია დაღესტნის ტრაღედია. თხოვნით, რათა თავს იდვას შუამდგომლობა დემარკაციულ ხაზების დასამყარებლად მოხალისეთა და დაღესტნის შორის და ამოწურ ს ყველა საშუალებანი მოხალისეთა და მთიელთა შორის ამტყდარ კონფლიქტის გასანელებლად.

დეპეშის ასლი გაეგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, გეგეჭკორს.

**მოკავშირეთა ჩარევა**

გაზ. „აზერბ."-ის ცნობით ბრიტანეთის უმაღლეს კომისრის ამიერ-კავკასიაში მისტერ უორდროპის მიერ გადადგმულია ნაბიჯები დაღესტანში და საზოგადოთ ჩრდილო-კავკასიაში მომხდარ ამბების მოსაწესრიგებლად. შესაძლებელია მოხალისეთა არმიისა და დაღესტნის შორის ნეიტრალ ზონის შექმნა.

**ანტანტა და დაღესტანი**

როგორც გადმოგვცემენ, ანტანტის უმაღლესი წარმომადგენლები ამიერკავკასიაში, დაინტერესებულნი არიან ამჟამად დაღესტანში შექმნილ მდგომარეობით. ამასთან ერთად აღიარებენ ორ მიმდინარეობას. ინგლისელთა და ამერიკელთა თვალსაზრისით სასურველია მთიელთა და მოხალისეთა შუღლი გადიჭრას უმტკივნოდ, და რასაკვირველია მთიელთა უფლების პატივისცემის შენახვით, საფრანგეთის აზრი პირიქით ეთანხმება დენიკინის მეხედულებას დაღესტანზე.

ფრანგების პოზიციას, მთიელთა მიმართ ხსნიან იმით, თითქოს საფრანგეთის მართველ წრეებში ეშინოდეთ, რომ საფრანგეთის დათმობამ კავკასიის პრობლემაში, დენიკინი ხელთ არ ჩაუგდონ გერმანიას. უცხო წყაროები ასახელებენ ამ პოზიციას, როგორც ერთიდერთ მიზეზთაგანს იმ ყოყმანისა, რომელსაც იჩენს საფრანგეთი ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებელ სახელმწიფოთა აღიარებისას.

**ინტერვიუ მთიელთა მეჯლისის თავმჯდომარესთან**

მეჯლისის თავმჯდომარემ ახმედ ცალიკოვმა „გაზ. „ოპნოვლენიის" თანამშრომელთან საუბრისას შემდეგი განაცხადა: „დღეიდან მთიელთა რესპუბლიკის კატასტროფისა, საქართველოსა და აზერბაიჯანისაგან არავითარი რეალური დახმარება არ მიგვიღია. დაღესტნის პირველი ამბოხება მალე დააცხრეს, რადგან მთიელობა მაინც არ იყო დარწმუნებული მოხალისეთა აგრესიულ პოლიტიკაში. მაშინდელ ამბოხებაში, არც ეხლა, არავითარ მონაწილეობას არ იღებდენ ინტელიგენტური წრეები.

დღევანდელ ამბებს სტიქიური ხასიათი აქვთ და ხალხი, ბელადებითურთ ასდგა, დენიკინის პოლიტიკით განწირული. თავისუფლების მოყვარულ მთიელთ, იძულებით მობილიზაციამ, ცხენებისა და იარაღის რეკვიზიციამ, კონტრიბუციამ, შესძლეს სტიქიურ ხასიათის ხალხური ამბოხება მოეხდინათ.

საქართველოც და აზერბაიჯანიც უარს გვეუბნებიან ჩვენს საქმეებში ჩარევაზე, ასაბუთებენ რა თავიანთ უარს სრული ნეიტრალიტეტისა და ანტანტასთან ზოგიერთ პირობების დაცვით. არც საქართველოს, არც აზერბაიჯანს რეალური დახმარება ჩვენთვის არ მიუციათ, თუ ანგარიშში არ მივიღე თ მათი ჩვენდამი პლატონიურ სიყვარულს და პროტესტებს ნეიტრალ ზონის დასამყარებლად."

**დარუბანდში.**

29 ენკენისთვეს ბაქოში მოსულმა ლტოლვილებმა შემდეგი ცნობები გადასცეს გაზ. „აზერბაიჯან"-ის თანამშრომელს: მოხალისეებმა შეიტყეს რა დაღესტნელთა მოძრაობა დარუბანდის მიდამოებში, ქალაქის ახლო მდებარე სოფლები სანაპირო არტილერიის ცეცლხს მისცეს. 19 ენკენისთვეს ღამის 1 საათზე, სამხედრო გემებისაგან და ყაზარმებთან მყოფ ზარბაზნებიდან, დაუშვეს სროლა, მეამბოხების პოზიციებს, რომელთაც უკვე მოასწრეს ქალაქთან მიახლოვება. მთელი ღამით მეორე დღემდე სროლა გრძელდებოდა. 20 ენკენისთვეს დილით მეამბოხეებმა ქალაქის ზემო ნაწილი დაიჭირეს. მოხალისეებმა ამის შემდეგ დაიწყეს გაძლიერებული სროლა ზღვის მხრიდან მძიმე არტილერიიდან და დიდი ზიანი მიაყენეს ქალაქის მცხოვრებთ. დაუზიანებელი შენობა სულ არ დარჩენილა. ამას შემდეგ ქალაქში ცეცხლი გაჩნდა, რომელიც დღემდე არ ნელდება. მეამბოხეთ აქვთ ტყვიის-მფრქვეველები და ზარბაზნები, რომლითაც პასუხს აძლევენ მოწინააღმდეგეთ, მთიელებმა გამოუცხადეს ლტოლვილებს, რომ ისინი არ დაჰყრიან იარაღს, სანამ მოხალისენი არ დასტოვებენ მათ ტერიტორიას. რკინის-გზის მოძრაობა გროზნოს და დარუბანდს შორის შეწყვეტილია, გზის დაზიანების გამო. ამის გამო მოხალისეთა ჯავშნიანი მატარებელი დარუბანდში დარჩა. მთიელებს განზრახვა აქვთ ამ დღეებში პეტროვსკზე გაილაშქრონ და აცხადებენ: „ან ქალაქი უნდა ავიღოთ ან ყველანი მის კედლებთან დავიხოცებით". აზერბაიჯანის მატარებლები მხოლოდ სასურის ხიდამდე მიდის, სადაც მოგროვილია დიდ-ძალი ლტოლვილნი, რომელთაც ათავსებენ რკინის გზის გასწვრივ სოფლებში. ლტოლვილნი მეტად კმაყოფილნი არიან მცხოვრებთა და რკინის გზის მოსამსახურეთა მოპყრობით. დარუბანდის აღების დროს მეამბოხეთ დიდი დავლა ერგოთ.

**პეტროვსკთან.**

დაღესტნიდან მიღებულ უკანასკნელი ცნობებით, მეამბოხეებმა დარუბანდის მხრივ პეტროვსკზე ძლიერი შეტევა დაიწყეს. დარუბანდის სანახები მოხალისეებისაგან სრულიად გაწმენდილია.

## უცხოეთის ამბები

### ჟურნალ გაზეთებიდან.

**პანამის არხის გარშემო.**

ბათომის თათრულ გაზეთ „ისლამ გურჯისტან" უცნობ წყაროდან შეერთებულ შტატების გუბერნატორმა წესიერების შენახვის საბაბით დაიკავა პანამა და კოლუმბია. პანამის რესპუბლიკის თავმჯდომარემ ორისლუმ ამის გამო პრეზიდენტ ვილსონს პროტესტით მიმართა. (აზხატ.).

**სპარსეთი და ინგლისი.**

სპარსეთის მთავრობამ პარიზში მყოფ თავის დელეგაციის საშუალებით კონფერენციას განუცხადა, რომ სპარსეთი შედის დიდი ბრიტანეთის მფარველობის ქვეშ. (აზხატ.).

## ბოლშევიკური ცნობები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო) ღვინობისთვის 6.

**ლონდონი.** ოქტ. 1. ინგლისში გაფიცვა ძლიერდება. რკინის გზელთა კავშირმა მთავრობას აუწყა, რომ თუ გარემოება მოითხოვს ის გაფიცვას მხარს დაუჭერს.

**ჰელსინგფორსი.** სექტ. 30. „ვარიალას" ს ცნობით, არხანგელსკში ინგლისელთა მთავარი შტაბი და 1000 ჯარისკაცი გემებზე დასხეს ინგლისში გასამგზავრებლად. ჩრდილოეთის მთავრობა აცხადებს, რომ მას განზრახული აქვს სამსახურიდან განთავისუფლებულ ინგლისელი ჯარისკაცები დაიქირაოს. მთავრობას იმედი აქვს შეადგინოს ერთი ბრიგადა ტყვიის-მფრქვეველებით და ზარბაზნებით.

ლატიშურ „სოციალ დემოკრატ"-ის ცნობით, რუსის თეთრგვარდიელები კურლიანდიაში ბატონებივით იქცევიან. გენ. იუდენიჩმა კურლიანდიაში და ლატვიაში მყოფ ჯარების მთავარსარდლად დანიშნა, პოლკ. ვერმონტი, რომელმაც გასცა ბრძანება, სადაც იმუქრება, რომ ჯარის შესახებ ყალბი ხმების გავრცელებისთვის სამხედრო სამართალში მისცემს. გაზეთი მოუწოდებს ლატვიის ხალხს, ბოლო მოუღოს რუსის თეთრგვარდიელთა თვითხებობას ლატვიაში.

**მოსკოვი.** ოქტ. 5. ჩვენი ჯარი სამხრეთის ფრონტზე განაწილებულია თანახმად კარგად შემუშავებულ გეგმისა, რომელიც მტკიცედ ტარდება ცხოვრებაში. მტრის უმთავრეს ძალებზე ჩვენი შეტევა შეუდრეკლად გრძელდება ამ დღეებში ბოგუჩარის რაიონში 20 ზარბაზანი ვიგდეთ ხელთ. ვეშენსკაიას სტანიცის აღება მოწმობს ჩვენი ჯარის მარჯვე წინსვლა ყაზახთა ცენტრისაკენ, რომელმაც ერთად ერთმა მისცა დენიკინს ძალა. კოლჩაკი ვერ შეგვაშინებს და საბოლოო გამარჯვებას მივაღწევთ. პროლეტარიატმა შეიგნო საფრთხე და მტრების მედგარ შემოტევას წითელ გამარჯვებით უპასუხა.

**მოსკოვი** ცარიცინში დენიკინის მიერ გამოცხადებულ საყოველთაო გაფიცვაზე ფაბრიკა—ქარხნების მუშებმა საერთო გაფიცვით უპასუხეს. დადგა ტრამვაი, წყალსადენი და ელექტრონის სადგური. „ახრანკა"-მ დააპატიმრა 150 ზე მეტი სპეციალისტი მუშა, რომელთაგან მრავალი დახვრიტეს.

ციმბირში აჯანყება იზრდება, მრავალ სოფლებში საბჭოთა ძალა უფლება გამოცხადდა. კოლჩაკი გადასახლებით, დახვრეტით და, ამ სოფლების განადგურებით იმუქრება.

**ჩრდილოეთის ფრონტი.** ლუგანსკის მიმართულებით სად. ლიქმიდან 15 ვერსზე ჩვენი ჯარი პოზიციებს ამაგრებს პეტრეზავოდსკის მიმართულებით მდ. უმის რაიონში ჩვენი შეტევა გრძელდება, ხელში ჩავიგდეთ 400 ყუმბარა, 30,000 ტყვია, ტელეგრაფის მასალა, და სხვა სამხედრო ქონება ოლონეცის მიმართულებით მტერი შეეცადა ჩრდილოეთ-დასავლეთით გადმოსვლას, მაგრამ უკუ ვაგდეთ. პოვენეცის ყურეში ჩვენი ჰიდროპლანებმა მტრის ნავებს უშინდა.

**დასავლეთის ფრონტი.** ლუგის რაიონში ჩვენი ჯარი იბრძვის. დ. დვინის რაიონში 25—40 ვერსზე ჩრდილოეთ-დასავლეთით მტერი დასავლეთ დვინის მარჯვენა ნაპირზე გადავიდა მათ განსადევნად ზომებია მიღებული.

ლეპელის მიმართ. ჩვენმა ჯარმა კალოპანი დაიჭირა. ბორისოვის და ბობრუისკის მიმართ. ჩვენ სასარგებლოდ ბრძოლა გრძელდება. მოზირის რაიონში მტერმა გვაიძულა რამოდენიმედ დაგვეხია. ჩერნიგოვის რაიონში ადგილობრივი ხასიათის ბრძოლაა

**სამხრეთის ფრონტი.** ნოვგოროდსევერსკის რაიონში 12 ვერსზე სამხრეთით ბრძოლაა. კურსკის მიმართ. მდგომარეობა უცვლელია. პავლოვის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს, სოფ. რუსკოეს ბუიროვოვს და მამანის ხაზზე გამოვიდა. სადგ. კლეცკაიას რაიონში მტერმა, რომელიც დონზე გადმოვიდა, მარცხენა ნაპირზე რამდენიმე პატარა სოფელი დაიჭირა. ამ რაიონში ბრძოლა გრძელდება. ოსტროვის ფრონტზე სიწყნარეა. ცარევის რაიონში ჩვენ სამხრეთით 20 ვერსზე კარმოვისტიე დავიჭირეთ. ურალსკის რაიონში მე-2 ბიჩინის რაიონში ურალსკის სამხრეთ დასავლეთით 110 ვერსზე მტერს სამხრეთისაკენ დავახეინეთ. დანარჩენ ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** კურგანის რაიონში ჩვენმა ჯარმა მდ. ტობოლისკენ დაიხია, იალუტუროვის რაიონში მთელ ფრონტზე ბრძოლა გრძელდება. იშიმის რკინის გზის ჩრდილოეთით ბალშოი ტუმაშევიდან ჩვენ მტერი გამოვდევნეთ აღმოსავლეთისაკენ. წამოვიყვანეთ ტყვეები ხელში ჩავიგდეთ სამხედრო ქონება.

**მოსკოვი.** ოქტ. 5. (ც. ა. კ. ზ. ბ. ბიულეტენი. ლატვიაში ულმანის მთავრობამ ყველა მამაკაცები 16—60 წლამდე ჯარში გაიწვია. სურსათი არ არის. გლეხებს მოსავლის ორი-მესამედი ჩამოართვეს უფასოთ. გლეხებს გადასახადით დაადვეს: ერთი წყვილი ჩექმა და საცვლები თეთრებისთვის. გლეხები წითელი ჯარის სასარგებლოდ არიან განწყობილი ბალტიის სამ მთავრობის რადიო დეპეშა საგარეო საქმეთა კომისარ ჩიჩერინს: ესტლიანდიის, ლატვიის და ლიტვის დამოუკიდებელ რესპუბლიკათა მთავრობებმა განიხილეს რა საბჭოთა რუსეთის წინადადება, გაცნობებთ, რომ მზად ვართ დავიწყოთ საზავო მოლაპარაკება არა უგვიანეს 25 ოქტომბრისა. მოლაპარაკების ადგილად არჩეულია ქალაქი იურიევი.

**სამხედრო ცნობა.** ოქტ. 5. ჩრდილოეთის ფრონტი, პეტროზავოდსკის მიმართ. ჩვენი ჯარი მტერს ავიწროვებს. დანარჩენ მიმართულებით დრო გამოშვებით ზარბაზნების სროლაა, და მზვერავები მოქმედებენ.

**დასავლეთის ფრონტი.** ლუგის რაიონში ჩვენი ჯარი სად. სტრუგისა და ბელიასთვის იბრძვის. მოზირის და ჩერნიგოვის რაიონებში მედგარი ბრძოლაა.

**დენიკინის ფრონტი.** კურსკის და კრომის სამხრეთით 20 ვერსზე რამდენიმე სოფელი აიღო. ჩვენი ჯარი განაგრძობს სევსკზე შეტევას. ლგოვისკენ დმიტრიევი აიღო. მალო-არხანგელსკის ჩრდილოეთით 15 ვერსზე ჩვენი ჯარი სად. კურაგინოს ახლებით იბრძვის. ბოგუჩარის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოწინააღმდეგე დონის მარცხენა ნაპირზე გადმოვიდა, მაგრამ კონტრიერიშით უკან გავაბრუნეთ. აქ წამოვიყვანეთ 40 ტყვე და ხელთ ვიგდეთ 2 ტყვიის მფრქვეველი. ცარიცინისკენ პიჩუგის რაიონში ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია.

**თურქესტანის ფრონტი.** ცარიცინის რაიონში მტერმა შემოტევა დაიწყო, მაგრამ მოვიგერიეთ. ოქტომბრის 3-ს მტრის ჰაეროპლანმა ჩორნი იართან 30 მსხვილი ყუმბარა ჩამოაგდო. ჩორნი იარის სამხრეთით 15 ვერსზე ჩვენმა ჯარმა შეტევა დაიწყო სოლენოზიმლიცენსკოეზე. შედეგი ჯერ გამორკვეული არ არის.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** კურგანის რაიონში დროგამოშვებით ზარბაზნების სროლაა და მზვერავები მოქმედებენ. იალუტუროვის რაიონში მთელ ფრონტზე ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ მიდის; წამოვიყვანეთ ტყვეები, ხელში ჩავიგდეთ ტყვიის მფრქვეველები და სხვა ქონება მტერმა გვაიძულა დაგვეხია ტობოლის ზევით 20 ვერსზე. კურსკის გუბერნიაში დაიწყო დენიკინის საგმირო საქმეები. გამოჩნდა ძველი პოლიციელები, დაიწყეს მკაცრი მოქმედება. პუტივის მაზრაში დენიკინელებმა სცემეს აღმასრულ. კომიტეტის თავმჯდომარეს და უპარტიო გლეხს. აქვე შეაგროვეს 20,000 ფუთი პური და თან წაიყვანეს უსასყიდლოდ გლეხებს ცხენები 2—3 ნაწილი. პირველ რიგში დენიკინელები ხვრეტენ მათ, ვისაც არჩეული ადგილები ეჭირათ სულ ერთია კომუნისტია ის თუ უპარტიო. მკაცრად ეპყრობიან ქარხნის მუშებს ტყვე წითელ ჯარისკაცებს ჩერჩობენ. როსტოვში კავკავის რკინის გზის მუშების გაფიცვაა. გამოცხადდა სამხედრო წესები—გაფიცულია 400-ზე მეტი რკინისგზელი მუშა. შესწყდა მუშაობა ნავთსადგურებში და წისქვილებში ოსტროვ-ნოვოჩერკასის რკინის გზას ჯარი იცავს. მღელვარება იზრდება.

**პეტროგრადი,** ოქტ. 5. ამხ. ზინოვიევი ამხ. ლენინს აუწყებს: „გუშინ მესამე რაზმი გავგზავნეთ სამხრეთის ფრონტზე. ყველა საუკეთესო მუშა წავიდა. ისეთი აღფრთოვანებით მიდიოდნენ თითქოს თეთრებთან ბრძოლის პირველი დღე ყოფილიყო. დღეს მეოთხე რაზმი მიდის.

**№ ის არმიის შტაბი.** ოქტ. 3. თეთრგვარდიელთა გაზეთები იუწყებიან, რომ 5 ენკენისთვეს ღამით სადგურ გროზნაიაზე, რომლის ახლოს ნავთით და ბენზინით, სავსე ქვაბებს ცეცხლი გაუჩნდა. დაიწვა მრავალი რკინის გზის ქონება. ცეცხლმა მთელ ღამეს გასტანა.

**მოსკოვი,** ოქტ. 5. ჩრდილოეთის ფრონტზე ჩვენ შეტევას მტერი სასტიკ წინააღმდეგობას უწევს. არხანგელსის რკინის გზის მიმართ. მტერი ზარბაზნების და ტანკების დახმარებით შეტევაზე გადმოვიდა და ჩვენი ჯარი რამოდენიმედ შევიწროვა. სავლოვსკიდან სამხრეთ აღმოსავლეთით 35 ვერსზე მტერმა ვერხნი-მამონზე ენერგიულად შემოგვიტია, მაგრამ ბრძოლის შემდეგ უკუვაგდეთ. ურალსკის რაიონში მტერი გადავიდა ურალის ჩრდილოეთ ნაპირზე, ურალსკიდან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 25—35 ვერსზე და რამდენიმე სოფელი დაიჭირა.

## დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენ.).

### ლიონის რადიო სადგურის ცნობები.

**ტიტტონი.**

ფიქრობენ, რომ ტიტტონი პარიზში დაბრუნდება. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ის შაბათს საღამოთი პარიზში მიემგზავრება. იტალიის პრემიერ-მინისტრი რამოდენიმეჯერ ეთათბირა პარტიათა წარმომადგენლებს და აგრეთვე ჯიოლიტის და სალანდრას. ამ თათბირებზე განხილული საკითხები საიდუმლოდ დარჩა.

**საფრანგეთის და გერმანიის ურთიერთობა**

საფრანგეთის და გერმანიის ურთიერთობა მნიშვნელოვნათ უნდა განვითარდეს. ეხლა კონსერვატიული გაზეთებიც იმის მომხრეა გერმანიასთან ურთიერთობის განახლებისა, რაც ხელსაყრელია საფრანგეთისთვის ეხლანდელ პირობებში. ამას წინად ფინანსთა მინისტრმა კლოტცმა პალატას მოხსენება წარუდგინა გერმანიასთან ვაჭრობის განახლების შესახებ. მან სთქვა, რომ საფრანგეთმა საქონელი უნდა შეისყიდოს აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც კურსი სასარგებლოა.

ბელგიის მთავრობამ ლიუქსემბურგის დიდ საჰერცოგოს აუწყა, რომ ბელგიას ეკონომიური მისია ლიუქსემბურგში დასრულებულად მიაჩნია ბელგიის რწმუნებული ლიუქსემბურგში თავადი დელინი გაწვეულია.

**შეტევა წითელ არმიის წინააღმდეგ**

ჩრდილოეთ რუსეთში წითელი არმიის წინააღმდეგ შეტევას აწარმოებენ. სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ რუსეთის ჩრდილოეთ-დასავლეთის ჯარზე დაიწყეს საერთო შეტევა... (დამახინჯებულია) მიმართულებით.

**სურსათი გერმანიიდან**

საფრანგეთმა უკანასკნელ ხანებში ისევ მიმართა გერმანიას სურსათისთვის. დაარსდა ცენტრალური შემსყიდველი ბიურო, განთავისუფლებულ ადგილებისთვის, რომლებიც შუამავლად არიან გერმანიაში შესყიდვის დროს აღორძინების სამინისტროს კონტროლის ქვეშ. ეს მარკის კურსს სწევს და უზრუნველყოფს გერმანიის ვალის დაჩქარებით გადახდას, საფრანგეთის ვალი რადგან ყველა გაგზავნილი სურსათი ანაზღაურებში მიეტოვებიათ.

## გერმანული პრესა

**ბალტიის პროვინციების ევაკუაციის შესახებ.**

„დეილი-მეილ" ი პარიზის გამოცემა, ამტკიცებს რომ ბერლინის ოფიციალურ წრეებში სიმართლეთ არ სთვლიან გერმანიისადმი ულტიმატუმს ბალტიის პროვინციების ევაკუაციის შესახებ. მოკავშირეთა მთავრობებს სხვა საშუალებაც აქვთ დარწმუნდნენ, რომ მათი სასურველი ბრძოები გერმანიის ჯარის მიერ აღნიშნულ ოლქების ევაკუაციის შესახებ გერმანიის მთავრობამ უკვე გასცა და ამ ჟამად ევაკუაცია უკვე დაწყებულია და დამოკიდებულია ტექნიკურ პირობებზე რომელთა პასუხს გებლობას გერმანიის მთავრობა ვერ იკისრებს. გერმანიის მთავრობა ენერგიულ ზომებს იღებს ჯარის წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად.

**პოლონეთი და რუსეთი.**

„ფორვერტს"-ის სიტყვით პოლონეთის გამოჩენილმა სოც.-დემოკრატმა განაცხადა რომ პოლონეთი რუსეთს ებრძვის ე იგი ბოლ ას და ბოლოს მის იმ ელემენტებთან რომლებიც პოლონეთის წინააღმდეგ არიან.

## გერმანული პრესა

ჰამბურგის ნავთ-სადგურის მუშებმა უარი განაცხადეს კომუნისტ-მეზღვაურების მიერ გამოცხადებულ გაფიცვაში მონაწილეობაზე.

მკაცრ ზომებს ღებულობენ დანიასა და ჰოლანდიაში კონტრაბანდისა პურის გაზიდვის წინააღმდეგ.

დემოკრატებმა თანხმობა განაცხადეს მთავრობაში შესვლაზე.

იუწყებიან, რომ ამერიკის სენატში წარმოთქმულ სიტყვაში სხვათა შორის განცხადებული იყო, რომ ოქტომბრის 22 მოხდება საბოლოო ხმის მიცემა საზავო ხელშეკრულების დასადასტურებლად.

პარიზიდან იუწყებიან, შეუძლებელია, რომ სენატმა ყოველივე პირობის გარეშე მიიღოს საზავო ხელშეკრულება.

იტალია აცხადებს, რომ შექმნილ პირობების გამო საზავო ხელშეკრულება ახლა არ იქნება განხილული.

ეროვნულ ყრილობის საბიუჯეტო კომისიაში ნოსკემ განაცხადა, რომ ეროვნულ კომიტეტს ამ ჟამად 400,000 წევრი ყავს, მაგრამ ეს რიცხვი თან და თან მცირდება.

ამერიკის წარმომადგენელმა პოლკ-მა კონსულ მეიერჰაუზერს აუწყა, რომ არავითარი დაბრკოლება არ გადაელობება წინ გერმანულ ავსტრიის და გერმანიის წარმომადგენელთა გამგზავრებას შრომის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ოქტომბრის 22 უნდა შესდგეს ვაშინგტონში. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი აღნიშნავს, რომ წესიერი არაა და გაუგებარია, რომ ამ კონფერენციას ნიშნავენ საზავო ხელშეკრულების დადასტურებამდე, რადგან კონფერენცია ზავის შედეგი უნდა იყოს. ეს იმას მოწმობს, რომ ხელშეკრულების დადასტურების გადადება მოულოდნელი იყო არავის არ სურდა, რომ შრომის მოწესრიგების საკითხი გადადებულიყო, ყველაზე ნაკლებ კი ეს სურდა გერმანიას, რომელმაც შრომის პირობების მოწესრიგებას პროგრამა საზავო მოლაპარაკების დასაწყისშივე წარადგინა. გერმანია უაღრესადაა დაინტერესებული, რომ ყველა სამრეწველო სახელმწიფოში მოისპოს სოციალური განსხვავება, თუმცა გერმანია და ავსტრია არ ირიცხებიან ხალხთა ლიგის წევრებად და მოკავშირეებმა ოფიციალურად არ მიიწვიეს, მაგრამ ნება დართეს დაესწრნენ კონფერენციას, რაც ერთი და იგივეა.

## თეატრი და მუსიკა

**აბესალომ და ეთერი.**

**ზ. ფალიაშვილის ოპერა 5 მოქ.**

შაბათს 4 ოქტომბერს სახელმწიფო თეატრში, გაიხსნა ზამთრის საოპერო სეზონი, ფალიაშვილის ქართული ოპერით, „აბესალომ და ეთერი"-თ.

წარმოდგენას მეტად საზეიმო ხასიათი ჰქონდა: დაესწრნენ დამფუძნებელი კრების და მთავრობის წევრები, ამიერ-კავკასიის უმაღლესი კომისარი ბ-ნი ჰასკელი მეუღლით, ბრიტანეთის უმაღლესი წარმომადგენელი, ბ-ნი უორდროპი და სხვა უცხო სახელმწიფო მისიების წარმომადგენელნი; ოპერა გაიხსნა ფოცხვერაშვილის ჰიმნით ხოროს და ორკესტრის შეერთებულ ძალებით.

— ორიოდე სიტყვა ოპერის დასის შემადგენლობაზე და მის რეპერტუარზე.

გამოქვეყნებული დასის შემადგენლობის სია მეტად გრძელია, სამწუხაროთ, ჩვენ აქ ვეღარ ვხედავთ გასულ სეზონის ერთ საუკეთესო მომღერალთაგან, ქ-ნ საბანეევის ქალს, ვერც სერიოზულ და დაკვირვებულ არტისტებს ნიკოლსკის და კანშინს. ამათ მაგიერ მოწვეულნი არიან ახალგაზრდა, ჯერ კიდევ სრულებით გამოუცდელნი არტისტები. ამ პირობებში კი საშიშია ლაპარაკი რეპერტუარის განახლებაზე და შეცვლაზე; სუსტი შემადგენლობა დასისა, საეჭვოდ ჰყოფს რაიმე მაღალ მხატვრულ მისწრაფებებს. დარწმუნებული ვართ, რომ სახელმწიფო თეატრის დირექტორი ბ. წუწუნავა, წმინდა ხელოვნების დაცვის მიხედვით, იქონიებს ამ მხრივ გავლენას: განახლებული იქნება რეპერტუარი და მოწვეულ იქნებიან უფრო სერიოზული გამოცდილი არტისტები.

„აბესალომ და ეთერის" მუსიკაზე ზედმეტია წერა, იგი ღირსეულათ იყო დაფასებული ჩვენი საზოგადოების მიერ და ბევრიც დაიწერა მასზე.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ წელს ორკესტრი გაცილებით წმინდათ და კეთილსინდისიერათ ასრულებს თავის პარტიას. იმ მხატვრულმა წვრილმანებმა ორკესტრის გადმოცემაში რომელნიც დაფარულნი იყვნენ წარსულ სეზონის წარმოდგენებში სავსებით გადაშალა „აბესალომის" ორკესტროვკა. ამ გაძლიერებულ და ახლად შევსებულ ხოროს როგორც სჩანს ჯერ კიდევ ვერ შეუთვისებია სავსებით თავისი ნაწილი მაგ. მეორე მოქმედება; უფრო წმინდათ იყო შესრულებული მესამე მოქმედების ნაწილები.—უმთავრესი პარტიები განაწილებული იყო. შარშანდელ მომღერალთა შორის—

მათზე არას ვიტყვით. ისინი ჩვეულებრივი მოხდენით იპყრობდენ მსმენელთ და თავის როლებში გრძნობდენ თავს.

ჩინებული იყო ახალი „აბიო მეფე" ბილტოვი, მას რბილი და ლამაზი ტემბრის ბანი აქვს. ქ. ვიშემირსკისა (მარიხ-ვარსკვლავი) გაცილებით სუსტია ქ-ნ გრანელის ქალთან შედარებით, როგორც ხმით, ისე სინაზით და სიქეკლუცით. კარგი დრამატიული სოპრანო აღმოაჩნდა ქ. ცინკისას.

საერთოდ პირველმა ორმა მოქმედებამ მოდუნებულათ ჩაირა, ამას ხელს უწყობდა დაუმთავრებელი ანტრაკტი პირველ და მეორე მოქ. შუა. ცივად და უელფეროდ იყო შესრულებული სუფრული სიმღერა. (მეორე მოქმ.) სოლისტებმა, ხოროს თანამშრომლობით, სუსტად ჩაატარეს ეს მშვენიერი ადგილი. ამ ადგილში ბ. ფალიაშვილს მცირე ცვლილებანი შეიტანია თანდარუხის რამოდენიმე ფრაზა აბესალომისათვის გადაუცია.

დეკორაციები ძველია. გარდა მესამე მოქმედებისა; ტანთსაცმელებიც იგივეა აბესალომის მურმანის, კიდევ რამოდენიმე სხვის გარდა, რაღაც უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებს თეთრი, მაღალი წვერიანი მუზარადები.

სუსტ შთაბეჭდილებას სტოვებს მეორე მოქმედების ბალეტი, მეტადრე კაცების ლეკურის ცეკვა. ეს ცეკვა გადმოცემულ უნდა იქნეს არა მარტო ქალის ნაზი, მამხიბლავი ტანის რხევით, არამედ აგრეთვე ვაჟის მამაცური ვნებით აღსავსე, გიჟიერი და მძლავრი ტანის და ფეხების მოქნევით.

მოცეკვავე ვაჟების ტანსაცმლები მეტის მეტ ...ია ფერადებშია. რაც სავსებით არ ეგუება ქართულ იერს...

XXX

## მოხსენება სანიტარულ გადასახადზე

ქალაქის მოურავმა ბ-ნ ჩხიკვიშვილმა მოხსენება წარუდგინა შინაგან საქმეთა მინისტრს, შესახებ სანიტარულ გადასახადის შესახებ. თანახმად საბჭოს დავალებისა. ვინაიდან ეს მოხსენება ფრიად საგულისხმოა მოგვყავს ეს მოხსენება მთლიანად:

„მიმდინარე წლის 18 ივლისის გამოცემული დეკრეტით დამფუძნებელ კრებამ ქალაქებისა და ერობათა თვითმართველობებს მიანიჭა უფლება თვითეულმა მათგანმა შემოიღოს და გაატაროს თავის ტერიტორიაზედ ერთდროული სანიტარული გადასახადი. ხსენებულ დეკრეტის მიზანი იყო: 1) მიეცა თვითმართველობისთვის სახსარი საჭირო სანიტარულ ზომები მიღებისა 2) ამ მიზნით დაბეგრილიყო უმთავრესად ის წრეები რომელნიც ყოველთვის აზერხებდენ ყოველგვარი გადასახადი სხვაზედ უმთავრესად მომხმარებელზედ გადაეტანათ. გადასახადი არის პირდაპირი.

როცა თბ. თვითმართველობა შეუდგა ამ საქმის ცხოვრებაში გატარებას, გამოაშკარავდა რომ ვაჭარ-მრეწველ თა კლასი უკვე შედგომია ამ გადასახადის მომხმარებელზე გადატანას და იქ სადაც ის იბეგრება 2 მილიონით მომხმარებლიდან იღებს 10-სა და 12 მილიონ მანეთს საქონელზე ფასის მომატებით. ეს გადასახადიც შემოსავლის ახალ წყაროდ და სპეკულიაციის იარაღად გაიხადა. ასევე იქცევიან და იყენებენ სხვა პირდაპირ გადასახადებსაც, როგორიცაა მაგალითად შემოსავალზედ დადებული სახელმწიფო და სარეწაო გადასახადები. ეს კი იწვევს ყველა საგნებზედ ფასების უზომოდ აწევას და უომისობაც დიდ გაჭირვებაში მყოფ მომხმარებელს უფრო მეტ შევიწროებას აყენებს. ამას შედეგი• დემოკრატიულ წრეებში სამართლიანი ღრტვინვა და მოთხოვნა რომ იგინი დაიცვან ასეთ უსამართლო ექსპლოატაციისაგან და მიღებულ იქმნეს ზომები სპეკულიანტების ასალაგმავად, ამ მოვლენას მიაქცია ყურადღება თბ. საბჭომ და მოინდომა მასთან შებრძოლება შესაფერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემით, მაგრამ გამოირკვა რომ არსებული კანონების ფარგლებში გამოცემული დადგენილება ვერ მიაღწევს მიზანს. სავალდებულო დადგენილებათა დამრღვევთათვის არ ს დადგენილი სასჯელი მხოლოდ მიხედვით მომრ. მოსამ. წესდების 29 მუხლისა ხოლო თვით საქმეები უნდა წარმოებდეს სასამართლოს წესით. მცოდნე პირთა მონაწილეობით მომხდარ თათბირზედ გამოირკვა აგრეთვე რომ შესაძლებელია თვით ასეთი დელიქტის (დანაშაული ცნობაც სადავო გახდეს, რადგან კანონში არ მოიპოება პირდაპირი აღკრძალვა ამ გადასახადების მომხმარებელზედ გადატანა. მაშასადამე საჭირო არის კანონმდებლობითი გზით ორ ორი საკითხის მოგვარება: 1) თვით დელიქტი იქმნეს აღვიარებული უცილობლად. ე. ი. კანონში ხაზგასმით უნდა იყოს აღნიშნული რომ ხსენებული პირდაპირი გადასახადის მომხმარებელზედ გადატანა მომხმარებელზედ შეადგენს დანაშაულს და 2) ამ დანაშაულისათვის სასჯელის დადება შეიძლება ადმინისტრატიული წესით.

პირველი დებულება უკვე გარკვეულად მიმაჩნია. მეორე კი გამოწვეულია შემდეგი მოსაზრებით. ასეთი დანაშაულისათვის სასჯელის დადებას მხოლოდ მაშინ შეუძლია რეალური სარგებლობის მოტანა თუ მისა არა თუ დადება, არამედ სისრულეში მოყვანაც თან მოჰყვება დანაშაულის აღმოჩენას და ცნობას, ამას კი ვერ შეასრულებს სასამართლოს რთული აპარატი, რადგან იქ, სხვა რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ყოველმა საქმემ უნდა გაიაროს 3-ან 2 ინსტანცია მაინც. გარდა ამისა მხედველობაში მისაღებია ისიც რომ ჩვენი პირველი ინსტანცია, მომრიგებელ მოსამართლეთა იუსტიცია ვერ არის საკმაოთ ფეხმომაგრებული და ფრთა გაშლილი, რადგან იგი მხოლოდ ახლახან განახლდა. თვით ბოროტებამ კი იმდენათ სერიოზული ხასიათი მიიღო რომ მასთან ბრძოლა ყოყმანობას არ ითმენს. დასასრულ თავის მოხსენების ქალაქის მოურავი ბ ნი ჩხიკვიშვილი შუამდგომლობს მინისტრის წინაშე მიიღოს ზომები აღძრული საკითხის საჩქაროდ გადაწყვეტისათვის და სათანადო დეკრეტის გამოცემად.

## კორესპონდენცია

### ჭიათურიდგან.

სექტემბრის 29 ჭიათურის საზოგადოებამ თბილისში გაისტუმრა საყვარელი ადამიანი და დ დათ პატივცემული საზოგადო მოღვაწე ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საავათმყოფოს გამგე-ექიმი სიმონ დავითის ძე ჯაფარიძე, რომელიც თბილისში მიიწვიეს უმაღლეს თანამდებობაზე. გამოსათხოვარი ვახშამი პირველად გაუქეთა მას სექტემბრის 25-ს ჭიათურის ქალაქის თვითმართველობამ; სექტემბრის 27-ს სადილი გაუმართეს (კლუბში) საზოგადო საკრებულოში ჭიათურის ინტელიგენციამ და შავი ქვის მრეწველებმა, სადაც მრავალი გრძნობიერი გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთქვეს: სექტემბრის 28-ს ისთევე საზოგადო საკრებულოში ვახშამი გაუმართეს ჭიათურის ქალაქის მოვაჭრეებმა და სექტემბრის 29-ს ყველამ ერთი გრძნობით და პატივისცემით ძვირფასი სიმონი გააცილეს სადგურზე ხელში აყვანით და ვაშას ძახილით.—სიმონ ჯაფარიძემ სრული 20 წელიწადი იმსახურა ჭიათურის სამრეწველო საავათმყოფოში და 20 წელიწადი იცავდა ჭიათურის საზოგადოების ინტერესებს; ამ ხნის განმავლობაში დაუღალავად მოღვაწეობდა და ყველა საზოგადო საქმეებში და კულტურულ დაწესებულებებში იღებდა გულ მხურვალე მონაწილეობას და თავისნობას სხ. და სხ. სახით.—განსაკუთრებით კი, მისი მეცადინეობით და ხელმძღვანელობით შავი ქვის მრეწველთა საბჭომ ჭიათურაში შექმნა დიდი მშვენიერი საავათმყოფო, რომლის მსგავსი ზოგან დიდ საგუბერნიო ქალაქებშიაც კი არ არის და ამ საავათმყოფოს მოწყობას და გამშვენებას სიმონმა შესწირა თავისი გონებრივი და ფიზიკური ძალა და ენერგია; მისივე თაოსნობით გაიხსნა ჭიათურაში (კლუბი) საზოგადო საკრებულო, იგივე ზრუნავდა დრამატიულ საზოგადოების წინსვლისთვის, სასწავლებლისთვის, წერა-კითხვის საზოგადოების საქმეებზე, ჭიათურის ქალაქად გადაკეთებაზე და სხვა და სხვა ასეთ კულტურულ დაწესებულებებზე.

როგორც ექიმი, სიმონ ჯაფარიძე ხომ შეუდარებელი და იშვიათია. მისი ავტორიტეტი იმდენად დიდია ხალხში, მისი საექიმო პრაქტიკა იმდენათ პოპულიარული, რომ სრულიად საკმარისია მძიმე ავათმყოფმა თვალი შეავლოს თავისს ოთახში, ან ჭირისუფლებმა გააგებინონ თავის მძიმე ავათმყოფს, რომ სიმონ ჯაფარიძე მის სანახავათ მოდის, ავათმყოფი უკვე დამშვიდდება, ნუგეშცემულია და სიკვდილს აღარ მოელის; ეს უდიდესი და უძვირესი სახელი და ღირსებაა ყველა ექიმისათვის; ამისათვის დიდი, ძალიან დიდი დრო გაივლის, რომ სიმონი და მისი ნაშრომი და ნამოღვაწევი საზოგადო საქმეები ჭიათურის საზოგადოებას არ დაავიწყდება და კიდევ დიდის სიყვარულით, პატივისცემით და კეთილ ხსოვნით მოიგონებენ მას, ჭიათურლებთან საჩხერლებიც დიდათ პატივსაცემდენ და აფასებდენ მას.

ერთად სიმონ ჯაფარიძესთან არა მცირედი შრომა და მრავალ კეთილი ნაყოფიერი მოღვაწეობა მიუძღვის მისს მეუღლეს თეოდოსია ილიას ასულს ჯაფარიძისას, რომელმაც ჭიათურაში შეადგინა ქალთა წრე, დააარსა ქალთა წრის გონებრივი და ფიზიკური სამუშაო სხვადასხვა საზოგადო ასპარეზი, სადაც შეაგნებინა მათ თავისი ადამიანური უფლებები და თავმოყვარეობა და ქალების საზოგადო წინსვლაში დიდი როლი ითამაშა მან; ამავე დროს ქ-ნ. თეოდოსია ჯაფარიძისა, დროგამოშვებით, ლიტერატურაშიდაც შრომობდა და მრავალი სამეცნიერო და საზოგადო შინაარსის წერილებს აწვდიდა მკითხველებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. ჭიათურის საზოგადოება ნამეტანი მწუხარებით შეეგება ამ საზოგადო მოღვაწე ცოლ-ქმარის წასვლას ჭიათურიდან.

სექტემბრის 28 ს, კვირას, დილის 12 საათზე ქალაქის თვითმართველობამ გახსნა ჭიათურაში ახლად დაარსებული გიმნაზია საზოგადოების და ყველა დაწესებულებათა წარმომადგენლების თანდასწრებით, სადაც მეხუთე და მეექვსე კლასები უკვე გაიხსნა და სექტემბრიდან უკვე სწავლაც დაიწყო და თავის პედაგოგიურ მოვალეობას კიდეც გულმხურვალედ შეუდგა ახალი გიმნაზიის ახალი დირექტორი ბატონი ვალერიან ჯაფარიძე

გიმნაზიის გახსნის დროს გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვეს ქალაქის თავმა პლატონ მოდებაძემ, დირექტორმა ვალერიან ჯაფარიძემ, უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორმა გიორგი ანთელიძემ და სხვამ, რომელთაც ეს საბედნიერო დღე მიულოცეს ჭიათურლებს და მშვენივრად დაასურათეს საზოგადოთ საშუალო სასწავლებლის ფართო მნიშვნელობა სახელმწიფოდ საზოგადო ცხოვრებაში.

**ბესარიონ ჭიათურელი.**

## წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვ ნება მიბოძო თქვენი გაზეთის საშუალებით შემდეგის თხოვნით მ... ლომინაძეს.

გთხოვ შაცნობოთ, თუ იცით რამ ჩემი ძმის კიაზო მეტრევ ლის შესახებ რომელიც, როგორც მე გადმომცეს თქვენმა თანამომგზავრეებმა, თქვენთან ერთად ყოფილა გაძარცული ინგუშეთში მარაამობისთვის უკანასკნელ რიცხვებში. ის დღემდის არ დაბრუნებულა სახლში მიუხედავად იმისა, რომ მისი ამხანაგები ყველანი დაბრუნდენ. ეს ცნობები გთხოვთ შემატყობინოთ შემდეგი მისამართით: გორი დ. მეტრეველი.

## მიწის გარშემო

(გაგრძელება)

**7. მიწების სპეკულიაცია.** მიწებში თავის ნებით ჩასახლებას და მიწების დატაცებას, ვიდრე მთავრობა ხელს მოკიდებდა, მიწების სპეკულიაცია მოჰყვა. ყიდულობდნენ და ჰყიდდნენ, როგორც უბრალო ნივთს. მიწების სპეკულიაციით ბევრმა დიდი მოგება ნახა, ბევრმაც დიდი ზარალიც,—მიწებიც დაჰკარგა და მშიერიც და, აი მაგალითები: 1) შრომაში შიხაშვილმა ნახევარ ჩარექი სამას თუმნათ სხვას მიჰყიდა. რომელიც ქირით ზედ ესახლა, ის უნდა ძალაუნებურად გადასახლებულიყო. შიხაშვილს ნორმაზედ ზედმეტი ეჭირა და ვინც იყიდა იმასაც საკმაოდ ჰქონდა სახნავი მიწები. შიხაშვილს კომისიამ დააბრუნებინა მყიდველს სამასი თუმანი და ნახევარ ჩარექი, ვინც იდგა, იმას გადასცა.

2) ტაბატაძემ იყიდა ალექსეევკაში რუსისაგან როცა მიდიოდა, მისი სახლკარ მიდამო და 8 დეს. ნაიისი ორას თუმნათ. როდესაც ჰკინაბული აიღო, გაჰყიდა ლვინიაშვილზედ 8,000 მან.

კომისიამ გაიგო თუ არა, მაშინვე გამოუცხადა, რომ ფული დაებრუნებინა და ტაბატაძე თავის ადგილზედ გადასულიყო. ტაბატაძეს სავაჩნაძიანოში და ქართლში ხწისის საზოგადოებაშიაც მამული ბლომად უჭირავს. როცა მისი დატუსაღება მოინდომა კომისიამ, ქართლისკენ მოჰკურცხლა.

3. სოლომონ ფხალაძემ—თელიდან არის—სამჯერ იყიდა და გაყიდა თელაზედ, ვარდისუბანში (ვარანცოვკაში) და კარსუბანში, მაგრამ ისე გასაწყალდა, რომ დღეს მისი ცოლ შვილი უბინოდ და მშიერ-მწყურვალნი არიან.

4. არსენ ხოჩაძემ პატარგორში 5000 მანეთად მიჰყიდა თავისი სამოსახლო და 3 დეს. ნათესი ნოზაძეს, თითონ გადასახლდა ალექსეევკაში. როდესაც ალექსეევკის მამულების დანაწილება დაიწყეს, ხაჩიძეს არ არგუნეს, დარჩა უბინაოდ, დაბრუნდა ისევ პატარგორაში, ვისაც მიჰყიდა დაუბრუნა 5000 მანეთი, მხოლოდ ნოზაძემ 1 ნახ. დეს. მეტი არ დაუბრუნა.

— რათ ჰქენი მაგეთი საქმე? ვეკითხები მას.

— რა ვქნა, ბატონო, ხემწიფეები ცდებიან და მე რომ შევცდე, რა გასაკვირველია? შენიჭირიმე, თუ მეევლებოდეს ამ საქმეს, ის ნახევარი მამულიც დამიბრუნოს, არ ეყოფა იმას, რაც ჩემი მოხნული და ნათესი მიწებიდან ჰკინაბული აიღო? ვითომ სასარგებლოდ ამილია ეგ 5000 მან. ნუ თუ სამართალი აღარ არის? ცოლ-შვილი მშიერი მეხოცება, აბა, სად წავიდე, ან ვის მივადგე ამისთანა სიძვირეში?

— მაგის საპასუხოთ, აი, რას გეტყვი: ლელიანში აკაკი ჩუბინაძემ თავის მეზობელს მიჰყიდა მიწა 1 დეს. 5000 მან. და ალექსეევკაში გადასახლდა. მეზობელმა ივალა, ძროხა ჰყავდა—გაყიდა, ცხენი ჰყავდა—გაყიდა, მოსავალი ნახევარ ფასში გადაყარა, მოაქუჩა ეს 5000 მან. და ეს ერთი დესეტინა მიწა დაინარჩუნა. ეხლა ისიც შენსავით ისევ ლელიანში დაბრუნდა და იმ მიწას ედავება, უნდა დამიბრუნოვო.

— რას იტყვი, უნდა დაუბრუნოს?

— ეგ სხვა საქმეა, ჩემი მამულის ყიდვაში იმას არაფერი გასვლია, პირიქით მოგებაც ნახა ერთი ორად.

— მე მაგის შესახებ მიგიწერ სიღნაღის სამაზრო—საადგილ მამულო სამმართველოში და იქ გაარჩევენ შენს საქმეს.

— ჰოო შენი ჭირიმე, გზები არ ვიცი, ვის მივმართო და აგეთი შემწეობა მაინც მიყავი, მემუდარება ხაჩიძე.

ასე ეწევიან მიწების სპეკულიაციას და, რაც შეეხება ყიდვა გაყიდვას, ძალიან დიდ-ფასებში იყიდება სამოსახლო თუ სახნავი მიწები, თითო ჩარექი ფასობს 2000—3000 მან.

უნდა აღინიშნოს ისიც რომ ს ისო ვაჩნაძე და სხვები ჰყიდნენ მამულს გლეხებზედ უბრალო ბარათებით და ისიც სხვის მამულებს, ამ ბარათებით სახლდებოდნენ მიწებში.

აქეთ მხარეს მსურველნი არიან, რომ გადაეცეთ საკუთრად და,—თუ შესყიდვა იქნება, ეხლავე შეგვასყიდინონო. ჩვენ არ გვინდა საიჯარო მამულები, გვინდა ერთხელ და სამუდამოთ მოვისვენოთ და ჩვენც გვქონდეს ჩვენი საკუთრება გაიძახიან •ქაური გლეხები.

—

**8. მიწების მიმღები კომისია.** ლაგოდეხის რაიონის მიწ. მიმღ. კომ. შედიან შემდეგი პირები: თავმჯდ. დ. გ ფალავანდი, წევრნი სიღნაღის სამაზრო საად. მამ. სამმართველოს წარმომადგენელი ალ. სვიმონიშვილი, სიღნაღ. სამაზრ. კომისარიატის წარმომადგენელი ლაგოდეხის რაიონის კომისარი ზ. ზედელაშვილი და ყველა სოფლის კომისრები იღებენ მონაწილეობას ამ კომისიაში.

1918 წ. 21 ივლისიდან პირველად ლაგოდეხში დაიწყო კომისიამ მიწების მიღება.

კომისიის ლაგოდეხელები კარგად შეხვდნენ და ყველაფერში ხელსაც უმართავდნენ; უმამულო ხალხმა ამოირჩია თავიანთ შორის გივი ხანდოლიშვილი და ნასყიდა ნარინდოშვილი. ესენი ყველაფერს საქმეში დახმარებას უწევდნენ მიმღებ კომისიას და მიწის მზომლებსაც ესენი დასდევდნენ.

ამასთანავე დღიური მუშის ფასი საგუბერნიო სამმართველოდან გადაწყვეტილი იყო 5 მან.; ამ ფასად მუშას ვერსად ვშოულობდით, ლაგოდეხის წარმომადგენლებმა ზედმეტი ფასი 15 მან. დაუმატეს და მუშას აძლევდნენ იმ დრომდის, ვიდრე მოვიდოდა განკარგულება ფულის მიმატებას. ასე რომ ლაგოდეხელებმა და ისიც უმამულო ხალხმა მუშებს ზედმეტი ფასი გადიხადეს ას თუმნამდის.

ჭიაურას მამულში მიმღებმა კომისიამ მიიღო მიწები 5243 დეს. 44 ფასი, ამაში ნორმა შედის 56 დეს. მისაღები დარჩა 5262 დეს.

სავაჩნაძიანო მამულში კი მიიღო 4 ნოემბრამდის 11,775 დეს., ამაში ტყე შედის 5934 დეს, ნორმა შედის 70 დეს., ნასყიდობაც არის 453 დეს.

ორი მიწის მზომელი ჰყავდა კომისიას, ერთი მეტად ლოთი და საქმეს მძიმედ ეკიდებოდა, მეორე კი ჩუმი და საქმეს იზოგებდა.

მუდამ ჩხუბი გვქონდა მიწის მზომლებ იან, რუსები იყვნენ.

— რა ძალიან თავს იდებთ საქართველოს მთავრობისათვის, პატარახან უკან ნახავთ, ეგ თქვენი დამოუკიდებელი საქართველოც სხვის დამოკიდებულ გახდეს, გვიკიჟინებდნენ მიწის მზომლები.

როდესაც სოფ. კახოუბანში არჩ. აბაშიძეს ნორმა მიუზომეთ, წისქვილი დაჰყვა. მ წისქვილე ქიტესა ახმეტელაშვილმა წარმოადგინა ნოტარიუსის შემოწმებული კონტრაქტი, სადაც ნათქვამია, რომ არჩ. აბაშიძე აძლევს საწისქვილო ალაგს სანახევროთ ქიტ. ახმეტელაშვილს იმ პირობით, რომ წისქვილი უნდა გააკეთოს, რაც მოუნდება, თავის ხარჯით, მხოლოთ არჩ. აბაშიძე მოვალეა ხე ტყის მასალა მიუზიდოს.

— მე მიშრომია, ჩემის მარჯვენით გავაკეთე ეს წისქვილი, ეგ კი არაფერში მომდგომია, ერთი ნაფოტიც კი არ მოუტანია და ეხლა უნდა, რომ მზამზარეულ წისქვილს დაეპატრონოს?!

— ვით ვერ გაიგე, მიუბრუნდება ახმეტელაშვილი არაშ ძის მეუღლეს,—რომ ქალბატონობა აღარ არის? ქალო, რას ჩამაცივდი, რას მედავები? ეს წისქვილი ჩემია და აქედან ერთ მარცვალსაც ვერ მიიღებ!

— ისე შენ მაგ სიმართლით გატაროს ღმერთმა, როგორც შენ მემართლებოდე და ისე გაიხარე, როგორც დღეს ჩემი ოჯახი ხარობს და ტიტველ-შიშველნი ბავშვები მყავან შეწუხებულნი! აი ნახეთ ჩემი შვილი, როგორი ტიტველი დაიარება?! მოჰკიდა ხელი თავის შვილს და აჩვენებს—მარტო პერანგის ამარა და ისიც სახელებმოგლეჯილი,—ნუ თუ არ გეყო მაგდენი უსამართლობა? ვერ გაძეხი ამ შვიდ თვეში მაგ ჩვენი წილი მინდით?! ამ გაზაფხულზეო ხალხი რომ აირია, ისარგებლა იმ დროთი და ძალით დაიჩემა ეს წისქვილი.

— ხალხო! მიუბრუნდება თავმოყრილ მოსეირნე პირებს,—როდემდის უნდა მჩაგროს, რატომ არ ჩაერევით ჩვენს საქმეში?!

— როგორც ეს პირობა ამბობს, ხეტყის მასალად უნდა მიგეტანათ, მიუტანეთ? მივეცი კითხვა.

— როგორ არა, ჰკითხეთ მოწმეებს! როდესაც ხე-ტყის მასალა ჩავაბარეთ, ხელწერილი მამასახლისით დამტკიცებული მომცა, რომ ჩემგან სრული დაკმაყოფილება მიიღო, ის პირობა ქაღალდებში მქონდა, ვეძებე და ჯერ ვერ მიპოვნია.

წისქვილი თავის ადგილით და შემოსავლით სადავოთ დასტოვა კომისიამ, სავუბერნიო სამმართველოს გადასცა გასარჩევად.

ჯერ აქტი დაწერილი არ იყო, რომ აბაშიძემ პირობის წერილი გახარებულმა გადმომცა, სადაც მართლა ნათქვამია, რომ ქიტესა ახმეტელაშვილს მიუღია 4,000 მან. ფულად მასალის მიტანაში. დახმარებია აგრეთვე აბაშიძის თხოვნით სოფელი ურმებით, რაზედაც ახმეტელაშვილი და მისი ამხანაგი ხელს აწერენ, მამასახლისის ბეჭედის დასმით, სადაც არის ნათქვამი, რომ აბაშიძე სრულებით თავისუფალია ყოველივე მოვალეობისაგან, რაც კონტრაქტშია ნათქვამი.

ამ პირობის თანახმად წისქვილის ადგილი, შენობა თავის შემოსავლით კომისიამ მიაკუთვნა ორივეს სანახევროდ. კომისიამ შეჰყარა სოფლის კომისრები, ამორჩეული პირები და ადგილობრივ ყველას თანდასწრებით, კომისიამ გამოუცხადა თავისი დადგენილება.

ამორჩეულნი პირნი და კომისრები დიდად აღელვებულნი იყვნენ ქიტესა ახმეტელაშვილის გაიძვერაობით და მისი უსამართლობით. ახმეტელაშვილს ამ წისქვილის გარდა კიდევ ორი წისქვილი ჩაუგდია ამნაირად.

ახმეტელაშვილი არ ემორჩილება კომისიის დადგენილებას და მიდის სიღნაღის სამაზრო კომისართან საჩივლელად.

ახმეტელაშვილს მოაქვს უბრალო ბარათის ნახევი შემდეგის წარწერით: „კაბალის კომისარს. აბაშიძე წისქვილიდან დაითხოვე და გამოგზავნე აქ კომისსარიატში. მისი დაყენებული კაცი წისქვილიდან გაუშვი და წისქვილი პატრონს ჩააბარეთ. პური ან სხვა რამ არ გაიტანოთ. სამაზრო კომისარიატის ბეჭედი. 17 ოქტ მაზრ. კომ. გელაშვილი".

„მაზრის კომისარი გელაშვილი ერთის ხელის მოსმით აუქმებს მიწების მიმღებ კომისიის აქტს. ალბად არ სცოდნია მიწის კანონი, არ სცოდნია მისი 16 მუხლი და არ სცოდნია 7 მუხლიც, რომელიც მიწის კანონის წინაამდეგ წავა და მის განხორციელებას ხელს შეუშლის, იგი ისჯება და ტუსაღებით 7-ს მუხლის ძალით 4—8 თვით ციხეში.

## მიმოსვლა

### სახალხო მატარებლებისა ს. ს. რკ. გზ

**გადის თბილისიდან.**

| | | | |
|---|---|---|---|
| ფოთში | № 21 | ღამ. | 12 ს. 5 წ. |
| ქუთაისში | № 10 9 | სალ. | 8 ს. 1 წ. |
| ბათომში | № 5 | სალ. | 5 ს. 4 წ. |
| ფოთში | № 3 | დილ. | 9 ს. 56 წ. |
| ბათომში | № 1 | ღამ. | 11 ს. 30 წ. |

**მოდის თბილისში**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | № 2 | დილ. | 7 ს. — |
| ფოთიდან | № 4 | სალ | 8 ს. 45 წ. |
| ბათუმიდან | № 6 | შუად. | 12 ს. 10 წ. |
| ქუთაისიდან | № 11,12 | დილ. | 9 ს. 30 წ. |
| ფოთიდან | № 22 | დილ. | 6 ს. 06 წ. |

**თბილისი-სალოგლი**

**გადის სალოგლში**

| | | |
|---|---|---|
| № 8 | საღამოს | 6 ს. 5 წ. |
| № 6 | შუადღის | 2 ს. 32 წ. |
| № 4 | საღამოს | 9 ს. 50 წ. |

**მოდის სალოგლიდან.**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | დილის | 7 ს. 27 წ. |
| № 5 | ნაშუად. | 3 ს. 5 წ. |
| № 7 | დილის | 11 ს. 52 წ. |

**თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.**

**გადის**

| | | |
|---|---|---|
| № 63 | შუადღის | 2 ს. 40 წ. |
| № 61 | დილის | 7 ს. 52 წ. |
| № 19,20 | შუად. | 3 ს. 26 წ. |

**მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 19,20 | დილ. | 6 ს. 30 წ. |
| № 62 | დილ. | 11 ს. 24 წ. |
| № 64 | სალ. | 8 ს. 4 წ. |

**თბილისი-ხანაინა**

**გადის:**

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

**მოდის:**

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

**შენიშვნა 1.** მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

**შენიშვნა 2.** ძ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

მედიცინის დოქტორი

**გ. ა. ახვერდოვი**

ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. 1-მდე სპეციალად ვენერიულ, კანის და სიფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლთან, შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1.

50—2559—1

საექიმო კაბინეტი

**ექ. პ. ტუშმალაშვილისა**

მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ საათ 25—2536—1

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მებრაზიანი**

შინაგანი ავადმყოფობა, ძლექისა გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენიოდი და სხივების ჭუკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 8—1 საათამდე და საღამოს 6 9 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7 92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

**ალექსანდრე დავითის ძის ბეჟილიასი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ე და 606-შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტ № 116, სასტუმრო „ბოლნის" პირდაპირ ტელეფონი 14—28.